8.

# ც ი ს კ ა რ ი.

ქართული

სიტყვიერებითი

ჟურნალი

1853 წელსა

ა გ ვ ი ს ტ ო.

ნუ. 8.

ПЕЧАТАТ ПОЗВОЛЬЯЕТСЯ,

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлены были въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 1 Августа 1853 года.

Исправляющій должность Грузинскаго ценсора Св

*Алексѣевъ.*

Въ Типографіи К. Г. Эристова.

ცის კარი.

# ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი.

---

## ( განგრძელება. ) საფია.

— თუ გნებავთ, თავდებით გაგიშვებ მე თქჳენ; მაგრამ უნდა კი მითხრათ ვინ არი თქჳენი ამხანაგი.— უთხრა მას გრიმანი.

— გითხრა ჩემი ამხანაგი? . . . ბატონი ბმანდენი. . . რაჟუმა.

დასასრულ დაიშალნენ ყოველნი, მხოლოდ მარკიზ

სდგა მოაჯარზე და შეექცეოდა გონდოლათა მზერითა, რომელნიცა ფანრებითურთ დასცურვიდენ არხზე. საათ-მან დაჰკრა თორმეტი. შავნი დრუბელნი მოეფინენ მრ-თელსა ცასა და მათზე იშვითად გარდაირბენდენ მოწითა-ნონი ელვანი. ღამე იყო ბნელ, ჰაერი მძიმე და ტალღანი მხუვილით შეეხეთქებოდენ მარმარილოს საფეხურთა სა-სახლის ნავთ-საყუდელისათა.

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო, — უთხრა დოჯემ გრ-აფინას. — სავაზიროში მიცდიან. იქიდამ რო მოვბრუნ-დები მე შინ, თუ მილის განსვენებაში იქნები დიდად მი-ამება.

— როგორ გაშფოთებული იყავ შენ, ალექსანდრო, როდესაც გასტეხე კაზანოვას სასმისი! . . .

ნაცვლად პასუხისა, დოჯემ ტრფიალებით დაჰკოცნა შუბლზე გრაფინას და დამშვიდდა ისა. დაეყრდნო რა მხ-არსა ალექსანდროსასა, განაცილა მან ისი აივანის კარე-ბამდე და გაადევნა თვალი ვირემდის არა მიიფარა ისი ქვეშე ბნელთა პროკურაციების * კამარათა, სადაცა ელო-

---

(*) პროკურაცია: პალატი, შესაკრებელი პროკურატო-რთა ვენეციაში.

ოდეოდენ უკუე მას მრავალნი სენატორნი. უკუმოიქცეოდა რა, გრაფინა შეეყარა მარკიზს, რომელსა წამოეხსა უკუე საწვიმარი თჳსი და ემზადებოდა წარსვლად.

— აქა ბძანდებოდეთ, მარკიზ, თქუენთან საჭირო საქმე მაქუს მე, — უთხრა მას გრაფინამ.

მარკიზ არა ერწმუნებოდა ყურთა თჳსთა.

— აქა ბძანდებოდეთ, — განამეორა გრაფინამ. — ერთს ალაგს მივალ მე და რო გთხოვო, იქნება არ მამიცილოთ?

სთქუა რა ესე, გრაფინა მივარდა სანდალოზიანსა ყუთსა, ამოიღო მისგან ხანჯალი და გაირჭო სარტყუელში.

— გაგაცილო თქუენ, გრაფინავ? საით და რისათჳს? — ჰკითხა მას მარკიზ, შეამცნივა რა რომე ფერი მიეხადა მას.

— საით, მარკიზ? ჯერ მე თითონაც არ ვიცი ეგე, მაგრამ ეხლავე შემატყობინებენ. რისათჳს? ამას გეტყუი მე თქუენ, და მხოლოდ თქუენ. ბალში მოვიდა ჩემთან ვიღაც პირის-ფერით დომინოთი: არ ვიცნობ მე იმას; მა

გრამ, საუბედუროდ, მე კი მიცნობს ისი. იმან მიხმო მე იმ სახელით, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, აქ ვენეციაში, თქვენს და ალექსანდროს გარდა არავინ იცის. მაგრამ, ვინც უნდა იყოს ისი, მიუცილებლად უნდა მოვილაპარაკო მე იმასთან დღესვე.

— და როგორ წახვალთ ეხლა ამისთანა ღამეში?

— მაგისთჳს გთხოვ მე თქვენ გამაცილოთ. მაშინვე კვალ-და-კვალ გამოჰყვენე მე იმ საიდუმლოს კაცს ჩემი მავრი მოსამსახურე იზმაილ.

განედო კარი და შემოვიდა იზმაილ. მოსწევნიყო ისი უცნობსა მას რიალტოს ახლო; მაგრამ, მასუკან შებრუნებულიყო ისი მცირეს ქუჩაში, სადაცა რავდენიმე მეხომალდენი სჩხუბობდენ თურმე. იზმაილ მლივს დახრწეულიყო ამა გუნდისაგან და შორის ამისა უცნობი მიფარულიყო.

— მაშ მეტი იმედი არღა არი! — წამოიძახა გრაფინამ.— და არცა ვინ ვენეციაში. . . .

— მოითმინეთ, გრაფინავ. . . — სთქვა მარკიზ, — იქნება ვიპოვოთ ჩვენ იმისთანა კაცი, რომელიც იცნობდეს თქვენს უცნობს. იზმაილ, შენ ამბობ რო შებრუ-

რდა ისა რიალტოს ხიდისაკენო: არ შეიძლება აქ გავიდე-ეთ გამალდეტტას?

შეძლებით როგორ არ შეიძლება: ეს გზა სახმელეთოა და ამაზე შორსაც არი. მაგრამ, იქნება ქარიშხალში იმ ადას ფეხები გონდოლაზე უფრო მარჯვედ ეჩვენენ.

-- იცი კი შენ გამალდეტტა?

— ვენეციაში ვინ არ იცის ის, ექსჩელლენცა * იმ პალაც-ცოზე იმისთანა საშიშარ ამბებს ლაპარაკობენ, რო თმა აეშლება კაცს. . . .

— კარგი. მაშ გამიძეღ მე იქ.

— არა, მომიტევეთ, ექსჩელენცა უმჯობესია ჩემთჳს მრთელი ღამე წვიმის ქვეშ ვეგდო, ახლა გამალდეტტას წასვლას. . . .

— ჰაი შე ქაჩუავ! მაშ გონდოლა მაინც მიშოვნე. . .

მერმედ მარკიზ მიუბრუნდა გრაფინას და უთხრა:

— გამალდეტტა ქირით უჭირავს ახლა გრაფს ლიპპო-ნეს. კარგად ვიცნობ მე იმას; ხან-და-ხან ვსთამაშობ კი-დეც იმის სახლში. ახლა იმისას მგონია იყოს თამაშობა. წავალ მე იმასთან. ის კაცი იცნობს მრთელს ვენეციას,

( * ) თქჳენო უგანათლებულესობავ.

აქაურებს და სხუა ქუეყნებიდამ მოსულებს. . . მგონია მე კიდეც, რომ მსახურებს ისი პოლიციის ნაწილში. . . უეჭველად, უნდა იცნობდეს ისი თქუენს პირის-ფერს დომინოსაც.

— დიაღ კარგი ეგე, მაგრამ მე კი ვშიშობ თქუენთჳს, მარკიზ. . . ვიცი რომ გულადი ბძანდები, მაგრამ გულადობა ვერ დაგიფარავს ხანჯლისაგან.

— ოო, ჩემი ჯავრი ნუ გაქუსთ, გრაფინავ. იმ ჟამითგან რომ დღეს დილას კინადამ დამიჭირეს მე და რომ დამინიშნეთ თქუენ მე ნახვა, რაოდენმე მხგავსი მიჯნურობისა,— სთქუა მან კმა-ყოფილად,— სხუა სიფრთხილე მივიღე მე.

და უჩვენა მან ორი პატარა და ლამაზი დამბაჩა, რომელნიცა ჰქონოდა მას ჯიბეებში.— ესენი მაქუს მე,— სიცილით სთქუა მან,— ბურნუთის კოლოფის და მუშკების * ყუთის სამაგიეროდ.

---

( * ) მუშკები: შავის ლენტისაგან გინა თავთისაგან გამოჭრილნი გრგვალნი ნაკუწები და ერთს პირზე გაშრე-შილნი, რომელთაცა, ჩვეულებრივ, დაიკრავდენ პირის-სახეზე, ნაცვლად ხალთა.

წვიმა მოდიოდა ნიაღვრად; ქუხილი რიხრიხებდა თითქმის დაუდგრომელად. მარკიზს ფიქრადცა არ მოუვიდოდა, რათამცა გრაფინას განეშვებინა გამოსვლა შინიდამ ამ დროს და ამისთანა ტაროსში; მაგრამ, როდესაც დაუძახა იმან იზმაილს, გრაფინამ აღიტაცა პირ-ბადე თჳსი, მასკა, და ჴელით ანიშნა მას ცხადად, რომე მტკიცედ გარდასწყვიტა მან ესე.

ამისა შემდგომ, რავდენსამე წამს უკან, არხის ყურეში იზმაილმან აღხსნა გონდოლა, რომელსა ქარიშხალი ძლიერ აქანებდა. რა ჩასჯდა გრაფინა მასში, ბრწყინვალემ ელვამ წუთსა ერთსა განანათლა გონდოლისა მის სარკმელნი, და მყისვე დასდგა კვალად წყვდიადი საშინელი. მეგონდოლემ დაუხვივა პირველის კიდეს კუთხესა, რომელიცა მოხჳდათ მათ: იშიშვოდა ისი წარსვლად დიდ არხზე, სადაცა იყო დელვა ძლიერი. დასწინაურდებოდა რა ფრიად დიდით სიფრთხილით, დასასრულ მისდგა ისი, მახლობელ წმიდის იოანის ეკკლესიისა, რომელსამე პალაცცოსთან, რომელი უბნელეს და უმყუდრეს იყო ყოველთა, რეჯიოს არხის გაყოლებაზე მდგომარეთა შენობათა. მხოლოდ ერთს ადგილს მცირედი ცე-

ცხლი ჰყუტკევდა მრთელსა ამას სასახლეში, რომლისა ბნელი მარმარილოს სამოსელი იშვიათად განათლდებოდა ელვისაგან.

— გრაფი შენ არი, — სთქუა მარკიზ. — საკვირველია, რო ერთი გონდოლაც არ არი აქა. ამ დროს, ყოველთვის, შეიკრიბებიან იმისას მოთამაშეები. ეტყობა ხმელით გზით მოსულან ისინი აქ.

— კამალდეკა სთქუა გრაფინამ.- სენატორმა ანდრეას გალვანიამ მითხრა მე, რო ეს პალაცცო უნდოდათ და ექცივათ. ხალხი დარწმუნებულია, ვითომც მეთექვსმეტეს საუკუნეში ყოფილიყოს აქა თვალთ-მაქცობა. . . მაგრამ კი როგორ უნდა გამოიცნას გრაფმა ლიპპონე ის ჩუენი უცნობი მხოლოდ პირის-ფერით დომინოთი? . . .

— მართალია, მაგრამ იქნება ის ჩუენი სადუმლო ბატონიც აქ სთამაშობდეს. . . მხოლოდ, ნება დამრთეთ მე, მოგცეთ თქუენ ეს რჩევა. . . . ხო გამომაცილეთ თქუენ მე გრაფის ლიპპონეს სახლამდინ და ახლა კი წაბძანდით შინ, საყუარელო გრაფინავ. . . თქუენი დოჯე მგონია იჭკვიანია. . . ხვალ დილით უთუოდ გიახლები მე თქუენთან, ან წიგნით მაინც გაცნობებ. . .

— მარკიზ! გამბედველობაში და გულოვნობაში აქაურს ქალებს არ დავუვარდები მე. არ ვიცნობ მე იმ კაცს, მაგრამ ხვალვე შეუძლიან იმას ყოველივე გაუმჟღავნოს დოჯეს. . . ვინც უნდა იყოს ისი, საჭიროა, რო ხვალ ცოცხლებში აღარ იყოს. . . თუ არა და საფია შეიქნება სასაცილო და საკიცხავი ყოვლის აზნაურისაგან.

— და ვინ უნდა იყოს ისი, გრაფინავ? თუ ამხანაგია ვინმე კალიოსტროსი,— კალიოსტრო ვენაშია, და თუ დარბაისელთაგანია ვინმე ზარიუდამ,— ვინც უნდა ყოფილიყო ისი, მაშინვე მოვარდებოდა ჩემთან და წმიდის მარკოზის მედანზედაც რო ვენახე, იქაც მომესალმებოდა. ყოველს შემთხვევაში, მშვენიერო გრაფინავ, ჩემი ჴელი მზაა თქუჱნის სამსახურისათვის; და მგონია კიდეც დაგიმტკიცე მე თქუჱნ ესე. ჯერ კიდევ მახსოვს მე დაჭრილობა იმ წყეულის კალიოსტროსაგან, და ამისთვის დიდით სიხარულით გარდამეხადოს მე მაგიერი თუ იმისთვის არა, მაშა ვისამე იმის მეგობრისათვის მაინც. . .

— და ვინ არი ის გრაფი ლიპპონე?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი! ვიდაც ბერბუცი, პარიჟიანი, მართლად მოკუზვილი. . . მგონია ნემეცია. . . .

მალიან ცუდად კი ლაპარაკობს იტალიურს. . . — მასუკან მარკიზმან უთხრა მენავეს, — მაგრა მოუსვი ნიჩაბი, ეი, შენ! ხო ხედავ როგორი ქარიშხალია, თქვენ კი, გრაფინავ, თუ არ გნებავსთ წასვლა შინ, მაშ მომიცადეთ მე აქა. იმედი მაქვს რო იზმაილს ექნება იარაღი.

იზმაილმან მდუმარებით უჩვენა მას თვისი იატაგანი.

ქარიშხალი განმლიერდებოდა; წვიმა აშხაპუნებდა გონდოლის მინებზე. ორი გაიდუკი გრაფის ლიპპონეს ლივრეათი, გამოვიდნენ კიბის დერეფანში და დაბურვიდენ ფიცრებით ვარაყიანთა ნოხაჯართა მისთა.

— გრაფი შინ ბძანდება? — ჰკითხა მათ მარკიზ, ადვადოდა რა კიბეზე.

— ეხლა მობძანდა. მიბძანეთ ვინ ბძანდებით. — უთხრა მას გაიდუკმან.

— აი, ვინ ვბძანდები, ოჩოპინტრეელო, — სთქვა მარკიზ და გარდაუგდო მათ ქისა.

ერთმან გაიდუკმან აიღო ქისა, ასწონა ხელში და ანიშნა მარკიზს რათამცა შესრულიყო.

— გრაფი წვება მოსასვენებლად; მოითმინეთ, გახლები მე და მოვახსენებ. . .

— სთქუა მეორემ.

— საჭირო არ არი შენი მოხსენება; იმან იცის რო მოვიდოდი მე.

— მაგრამ კი, ექსჩელენცა. . .

— გეუბნებიან, რო ჩემი მოლოდინი აქუს იმას. . .

მარკიზმან აღირბინა კიბეზე, განვლო ზალა, სადაცა, ჩვეულობისამებრ, სთამაშობდენ ქაღალდს, შეაღო ფეხის კვრით კარი, საიდგანცა გამოდიოდა ცაცქნათელა, და იხილა კაცი, რომელი სდგა სარკის წინ და იცვამდა ხალათს. უეჭველად, არა შეესმა მას ფეხის ხმა მარკიზისა, ამისთჳს რომ, ყოველნი ოთახნი მოფენილ იყვნენ ხალებით: ცხად იყო, რომე მიასწრეს მას აქოთებულსა. რა კარი განეღო, მივარდა ისი მასკასა, რომელი იდგა სკამზე პირის-ფერს დომინოსთან; გარნა მარკიზმან უკუე განიცადა სახე მისი და უდიდესით განცვიფრებით დაუყვირა: — კალიოსტრო!

— გახლავარ თქუენს სამსახურში, მარკიზ დე-სალუს, — უპასუხა მას კალიოსტრო, განგებ იჩვენებოდა რა გულ-გრილად. — რა გნებავს? ბძანეთ.

— მე მნებავს შენი შურის-გება ჩემის დაკოდილებისა-

თჳს და ყოვლის შენის აგაზაკობისათჳს! აი, რა მინდო-და შენთჳს სათქმელად, გრაფო კალიოსტრო!

მარკიზმან აღმოიღო თჳსნი დამბაჩები, დაუმიზნა პი-რა-და-პირ გულში კალიოსტროს და ესროლა. . . ტყვიე-ბი თბილ-თბილნივე დამოსცვივდენ ძირს. გრაფმან გა-ნიხარხარა, დაჰკრა ფეხი, და ფიცარი, რომელზედაცა სდ-გა მარკიზ, საშაშარით სისწრაფით შთაეშო პოლს ქვ-ეშ. . .

განვლო საათისა რუბმან ერთმან. დრო ესე ეჩვენა გრაფინას მრთელ საუკუნოდ. შემდგომ შეესმა მას, რო-მე ვინმე ბნელისა სრისა ამის მოსამსახურეთაგანი უძახის მას სახელით. პირველად ვერ განჰჭჳედა მან, გარნა შემ-დგომ მოუწოდა რა შემწედ ყოველსა სიმხნესა თჳსსა, დასდვა ჴელი ერთი ხანჯალსა, მეორეთი აღიწივა ბირო-ბადე და დაიკავა მასვა და განჰჭუვა ზანგს, რომელი უნათ-ებდა მას ფანარს.

— სად მიგყევარ? — ჰკითხა მას გრაფინამ კიბეზე.

— ლიპპონე გრაფთან, — მიუგო ზანგმან.

ამან დაამშვიდა გრაფინა; თითქმის უშიშრად შევიდა ისა ავანსა და იხილა, რომე კაცი ვინმე მოვალს მისაგე-

ბენლად მისა; გარნა განიცადა რა პირის-სახე მისი, გრაფინა დაბარბაცდა, მუხლები მოეკვეთა, დაეცა და გულს შემოეყარა. ეს კაცი იყო კალიოსტრო!

ზანგმან, ნიშნობისამებრ მებატონისა თჳსისა, დასდვა გრაფინა ტახტზე და გამოვიდა. კალიოსტრო იყო ფერ-მიხდილი. შესაძლოა, რომე უეცარმან მარკიზისა და ცემამ შეაშინა ისი; შესაძლოა, სძრწოდა ისი ჭვაზრითა მით, რომე ისა, რომელსაცა ეგოდენ გრძელ-ჟამ ეძიებდა ისი, არ უკუე იყო ქვეშე ჴელმწიფებისა მისისა. . . საფია იყო მშვენიერ. შავნი თმანი მისნი, ქარისაგან გაწეწილნი, მოეფინენ სახესა მისსა და შიშველნი ჴელნი დამოეკიდენ უღონოდ. . . . ემსგავსებოდა ისა კერპსა ნიობისასა, მშვიდობიანსა თჳთ მწუხარებასაცა შინა, სასო-წარკვეთილებასაცა შინა; თვალნი მისნი, იჴვენებოდა, ეძიებდენ ცასა, გარნა უძლეველმან ძალმან დასდრიკა თავი მისი მკრს. . . მაგნეტიზმო * ნაკად-ნაკადად გამომდინარებდა მაზრიალებელთა თვალთაგან კალიოსტროსათა; დაამძინებდა ისი უბედურსა საფიას ყოვლითა

---

( * ) მაგნეტიზმო: მაგნეტიზრივი ძალი.

ძალითა შემძლებელისა თჳსისა ნებისათა. რაოდენიმე ჟამ-
მი ვერა გარდასწყვეტდა ისი თუ რაჲ ჯერ იყო მისდა
ქმნად. კალიოსტრო ფრთხოდა ბედნიერებისაგან, რო-
მლისათჳს ფიქრვადცა ვერცა თუ განკადნიერდებოდა. რა
ვდენისამე საათისა წინ უწინარეს ამისა, დედა-კაცსა ამ
ას აქუნდა დიდ-მშვენიერი მეჯლისი ვენეციის პატრიკი-
ოსთათჳს; იყო ისა დედოფლად ყოველთა მათ დარბაზი-
სელთა; შემოზღუდვილ თჳსთა თაყვანის-მცემელთაგან,
დიერთად მხადველთაგან; სახელი მისი იკურთხებოდა ყო
ველგან სასახლითგან დოჯესა, ვიდრე უკანასკნელს ქო
ხამდე უუგლახაკესისა მეგონდოლესი მურანოში. და დე
და-კაცი ესა იყო აწ ჴელთა შინა მისთა; ამა დედოფლ-
ისა გარდაცვლა მხევალად თჳსად შეეძლო მას.

დაფიქრებულმან დიდს ხანს კალიოსტრო, დასასრ-
ულ სთქუა თავსა შორის თჳსსა:— ვოჲ! შური უნდა ვიძ-
იო მე ამ გაქცეულს ტყუეზე იმისათჳს, რო ვერდა შევი-
ქენ მე იმად, რაც შემეძლო ვყოფილვიყავ. თუ არ გაქცე
ულიყო ჩემგან ესა.

გარნა კვალად შესდგა ისი. საფია მდებარებდა უტ-
უჳი და ცივი; სიწითლე სრულებით წარხდა ღაწვთა და

ბაგეთაგან გრაფინასათა; ძილი მისი ემსგავსებოდა სასიკუჳდილოსა და კალიოსტრო ვერა მოაშორებდა თვალთა მშვენიერსა ხილულსა ამას, რომელი ესრედ უეცრად გარდაიქცა ანდრიანტად. დასასრულ სთქუა მან:

— საფია, გძინავს?

გრაფინამ აღახილა თვალნი და შეხედა, ვითა ირემმან მზერალმან მონადირისა, რომელი ემზადების მოკლვასა მისსა. ღრმად ამოიოხრა და სთქუა:

— თქუენ, თქუენ აქა ხართ! რომელთა წყეულთა ზვირთა ზღვისათა მოგაგდეს თქუენ ვენეციაში?

— უსამართლოება, შეურაცხება! მეტი რის პატივის იმედი უნდა მქონოდა მე თქუენგან. თქუენ ხომ ჩემის გულისათჳს არ შემოსიმანეულხართ აქ, მარკიზს დე-სალუსს დაეძებთ.

— დიახ,— მიუგო გრაფინამ და ადგა:— მარკიზმან მომიყვანა მე აქ და მოვარჩელია ჩემი. რა უყავით იმას?

— მარკიზ კარგს ალაგს ბრძანდება,— დაცინებით უპასუხა კალიოსტრომ,— არ დაუშლის ისი ჩუენს ლაპარაკს. ვილაპარაკოთ თქუენზე, საყვარელო ჩემო „გვრიტო“; მე ველოდი ამ ბედნიერს შემთხვევას, კარგად შენს

ბატონობას ვეღირსე მე; მადლობა ამ ქარიშხალიანს ღა-მეს, კიდევ გალიოსტრო ვარ მე.

— ოჰ, დიაღ, ვგრძნობ მე მაგას, ვგრძნობ, რო კიდევ ჩემს მტანჯველს ჩავუვარდი მე ჴელში და ყოველი ბედ-ნიერება ჩემი წარხდა.

— არა, არა, გრაფინავ, ნუ ჰგონებთ რო დავარღვიო მე ბედნიერება თქვენი. ახლა თამაშობანი ჩვენნი შე-ცვალნენ: თქვენ ბრძანდებით ყოვლად შემძლებელი სა-ყვარელსა დოჯესი, მე საწყალობელი განძევებული. მა-გრამ, ნუ თუ დაივიწყეთ, რომ თხუთმეტის წლის წინ, რომელსაც თჳნიერ უარის ყოფისა დაემორჩილებოდით თქვენ ნებასა ჩემსა, რომელსაც იყავით თქვენ ტყუე და საყვარელი ჩემი, იმ უბედურს დრომდე, რომელსაც ის იტალიელი განსტყურა ჩემს სახლში და, როგორც ქურ-დმა, მიმტაცა მე საუნჯე ჩემი. . . .

— მიგტაცა! თქვენ თითონ იყავით მტაცებელი. რა სა-მართალი მიგიძღოდათ თქვენ ჩემზე? რა შემოველ სა-ფრანგეთის მიწასა, არღა ვიყავ მე ტყვე; აქ კი, მოიხსე-ნიეთ, ვენეციაში ვართ ჩვენ და არა ადრიანოპოლ-ში.

კალიოსტრომ განიხარხარა ესრედ, რომე სისხლი გაუყინა გრაფინას ძარღვებში.

— ვენეციაში! ვაი უბედურებსა! ასე ჰგონია ამას, რო ვენეცია იყოს ამისათვის სამშვიდო ნავთ-საყუდელი!

— მაგრამ კი აქ მდევნელობ მე, აქ ყოველგან დამე-მორჩილებით მე, და თუ მოვანდორებ მე დღესვე იქნები შენ საპყრობილეში.

— არა, არა შევიძლიან რა შენ ჩემი წინააღმდეგო: თი-თონ შენ იმყოფები ჩემს ხელისუფლების ქვეშ. არა შენ, არამედ მე უნდა გეუფლობდე ახლაც, როგორც უწინ, და შენ ეგდო ჩემს ფეხ-ქვეშ. შენ ჩემი ხარ, ჩემი. . . .

— უბედურებს ვიქნები მე ემბაგისა, ვიდრე შენი,— შეჰყვირა გრაფინამ და ამოიღო ხანჯალი:— თუ კაცი ხარ სთქვი თუნდ სიტყვაცა ერთი უკადრისი და დაგიმტკიცე-ცო მე შენ, რო ვენეციელა ვარ მე აქა!

— მერმენი თუ ვენეციელა, ხვალ ერთია,— სთქვა კა-ლიოსტრომ და მოუგრიხა მას ცალი ხანჯლიანურით.— ნუ დაივიწყებ, რო აქ პალაცცოში ვართ ჩვენ, სადაც ოდ-ესმე სწარმოებდენ საშიშარნი ისტორიები, აღსრულდე-ბიან საკვირველნი საქმენი. მხოლოდ ამ კედლების და

ნახვაც ეხლავე გაკანკალებს და შეგზარავს შენ. . .

— არა რა შემზარავს მე, გარდა სირცხვილისა. დაასრულე შენი ბოროტ-მოქმედებაები,— მომკალ მე.

— მე მინდა გიხსნა შენ, საფოა; მაგრამ, ამისთჳს, უნდა დამემორჩილებოდე შენ მე.

— მიხსნა მე! რა ეზრიანება ბატონს ჩემს მიბრძანოს მე?

— უნდა გამომყვე მე.

— გამოგყვე თქუენ, კეთილ-შობილო გრაფო! გამოგყვე თქუენ მაშინ, როდესაც ვარ მე საყვარელი დოჯესი და შემიძლიან შევიქნა ცოლიცა მისი, როცა კი მოვინდომო! დიაღ, გამოგყვები მე შენ,-- სთქვა მან დაიჭირნა რა ჴელნი გულსა,- მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯალათი წაგიყვანს შენ დასასჯელად და ჩემცუვა შეცა მრთელისა ვენეციასა: შეხედეთ მაცთურსა ამას! ეს არი ბალზამო პალერმოდამ, თითონ ისი, რომელიც იწოდებოდა გრაფად ლიპპონედ ვენეციაში და გრაფად კალიოსტროდ ფრანციაში!

კალიოსტრო იყო გარე თავისა თჳსისა გულის-წყრომისაგან, გარნა ადვილ-აყრისა თავსა თჳსსა. მდუმარე-

ბით შეხედა მან გრაფინას და სთქუა:

— საფია, მოთმინება ჩემი აღილევს: ამოარჩიე ერთი-ერ-თი ჩვენგანი: ან მე ან ისი.

— ან შენ, ან ისი! შენ მძულხარ, ისი მიყვარს!

— მეც მაგის მეტი იმედი არა მქონდა შენგან. ახლა შენ თითონ წარმოსთქვი საზოგადო სასჯელი თქვენი. მაგრამ ერთსაც კიდევ გეტყვი: აღასრულე ნება ჩემი და მაშინ თანა-წარვიდე მე იმ საშინელს საჯურველს, რო-მელიც მოგელავს შენ ხანჯალზე უძღვალეს. . . და იმა-საც მაშინ არღა ვენებისრა.

გრაფინა აღსრთოლდა. კალიოსტრო იცინოდა ეს-რეთით დარწმუნებით, რომე იყო მან შეშფოთებელ. მდ-უმარდა ისა და მრწოლით მოელოდებოდა სვისა თავსა-სა გარდაწყვეტასა.

— არა, — განაგრძობდა კალიოსტრო, — არა, არ შემ-იძლიან თავი დაგანებო შენ. საფია, მოახსენიე ის დრო, რომელსაც გამოგტაცეს შენ დედის შენის გულიდამ, რო-დესაც აღგზარდეს შენ მშვენიერი თმა და შეგმოსეს სამ-ოსელი ტყვისა. ის დრო არა ისე საშინელი იყო, როგორ-რც ის, რომელსაც ვსცან მე რომ გაქაჩული იყავ შენ ჩემ-

გან. შენ იყავ სიცოცხლე ჩემი, კეთალი ჩემი, საუნჯე ჩე-
მი! იმ დროიდამ გავლობს შენ სხჳა, მწყემს მე სხჳა და
შენცა გასწავლა წყევა ჩემი! და ახლაც. როდესაც შემო-
თხვევამ-თუ ჯოჯოხეთმა კიდევ შემყარა მე იმ კაცს; ეხ-
ლაც, როდესაც კიდევ ჩემს უფლებას ქვეშ ხარ შენ. . .
ეხლაც გაგიშვა მე შენ მეღოდამ!. . . არა, არა! არ იქ-
ნება ეგე! ჩემთჳს ლოცვა ღართვაჯების თქჳშმენი სიგიჟდო-
ლი, მაგრამ რა უნდა ვქნა, ისი მიყვარს და შენ. . . მიყ-
ვარხარ. საფოს, შემიწყალე! . . . იფიქრე, შეგიძლიან მე
იმანჯეს შენი, და გავგადრჳლი, ფერხთა ქვეშე შენთა გარ-
მე. . .

საფოს ზიზღით მიბრუნდა, ადგა, მივიდა სარკმე-
ლთან და გადასწია ფარდა. ქარიშხალი დასდგა, გა-
რნა ღამე იყო ბნელი ჯურღული. გრაფინია ვერა განიცდიდა
თჳთ ბინის-მარ მღვიმარეთაცა სახლითა, გარნა მცირეს
მოედანზე წმიდის იობისა შეესმოდა მას ფერხთა ქვეშ რა-
ვდენთამე კაცთა. ამან დაამშვიდა ისა. ჟამსა ამას საათ-
მან დაჰკრა ორი. გრაფინიამ მოიხედა: კალიოსტრო ჯვა-
რედ სდგა მუხლზე. ადგა ისი ნელად და სთქვა:

— საფოს, უკანასკნელ-ჯერ გკითხავ შენ. გადასწყ-

გაცვე სხვე შური, იმისი და ჩვენი ჯობია თუ არა?

— არა, არა, და არ ჯობს არა!

— კარგი. ახლა დაიხურე მასკა და მოდი აქ რა გაჩვე-ნო. აი, ნახე თუ რა მოგელოდებოდის თქვენ.

განაღო მან მოაჯირის კარი და გამოიყვანა გარეთ ისა.

მოედანი წმინდის იობის ეკკლესიის წინ ერთბაშ გა-ნათლდა რავდენითამე ფანრით. კაცი ვინმე შავ-ბირინიშა-ანი მოვიდოდა გარე-მოცულული რვათა მხედართაგან. დაექრჯანებოდა ისი მხარეს პიერისასა, რომელსა სახე დაბურვილი ჰქონდა ლეჩაქით და ქუდსა ეხურა ჯვარი. უკ-ანით კაცისა მოდიოდა დედა-კაცი და მასთანა ქალი გაუ-თხოვარი ათი-ხუთმეტისა წლისა; ორნივე იყვნენ დაბორ-კილულნი. . . ხუცესსა დაამოლოებდენ მწევრნი ათათა სამსჯავროსანი და სხვანი. ბნელი ღამე და უხმაურობა მი-სი მისცემდნენ სახადველსა ამას საშინელსა მწუხრებასა. კაცი იქნებოდა ოცდა-ათი-ხუთმეტისა წლისა. პირსა-სა მისისა სახეზე ჯერეთ აღბეჭდილი იყო შთამომავლო-ბისა კეთილ-შობილება, საზოგადო ნიში ესე ყოვლისა დასისა ვენეციას პატრიციობისთასა და ჯერეთ არა დამსხვა-

ნჯებული ნებიერითა, განრყვნილითა ცხოვრებითა. იყო ისი ფერ-მიხდილი, რეცა თუ მარად ეცხოვრა მას ქვეშე აჩრდილისა და არაოდეს გამოსრულიყო დღისა ნათელზე თაღთა ქვეშეთგან თჳსისა ბნელისა პალაცცოსათა. პირის-სახე მისი გამოხატვიდა სასო-წარკვეთილებასა. ვიდოდა ისი სასიკუდილედ მტკიცით ნაბიჯით; დროებით უკუ-მოიხედვიდა და უმზერდა ცოლსა და შვილსა.

დედა-კაცი იყო სრულებით უსინჯო მშვენიერი — ხორბლის ფერისა მის სიტურფისა, რომლითაცა ესრედ თავი მოსწონსთ დედათა ინდოეთშა. გიშრის თმა გარდაშლილი ჰქონდა მას ბეჭებზე; ბაგენი მისნი გალურჯებულიყვნენ; ქარი განაფარფარებდა გრძელთა სახელთა ჩაქსულის აბრეშუმის კაბისათა და მათ ქვეშეთგან სჩანდენ მოჭედილნი დასტანგებით და ოქროს სალტეებით ხელნი. საფია აღსთრთოლდა იხილა რა, რომე ტყვე იყო ისა. თვალის წინა უბედურისა დაშრეტილი იყო, გარნა უძრავად დაპყრობილ ასულზე, რომელი დაღვრიდა ცრემლთა მწარეთა.

ჟამსა ამას კარნი ეკკლესიისანი სრულიად განეხსნეს და, ვით სურათთა შინა რემბრანდტისათა, მოწითლომ,

არა თანასწორყე ნათელმან განაცისკროვანა მრთელი გუნდი ქ̃ე. მაშინ დასასჯელი მობრუნდა და, ვითარ შეშლილმან, მოხვევა ჴელნი კისერზე ცოლისა და შვილისა. . .

მაგრა, გულის განსაგმირალი გამოსალმება ქ̃ე წარმოადგენდა გამოუთქმელისა სახილველისა. სცდილობდა ისი, ვითარ ოდეს მალუმს გოდებად სიკუდილის წინ კაცსა ახალ-გაზდასა, ბედნიერსა, შემოზღუდვილსა ყოვლითა ძღვენითა, ყოვლითა განცხრომითა სიცოცხლისათა. . . . გარნა შემდგომ, თითქოს ჰრცხვენოდა თავსა თჳსსა ამა სისუსტისათჳს, ამაყად ზე-აღიწივა მან თავი და განსწორდა. მაშინ სცნა ისი გრაფინამ და, სასო-წარკუეთილებისა შინა თჳსსა, მოეჭიდა მოაჯარსა და შეჰკივლა:— რაინდი!

ნანდვილ, იყო ისი პატრიკოსი რაინდი, რომლისა მშვენიერებითა და ჯომარდობითა რაინდებისაზე საათისა წინ, ამისა უწინარეს, ყოველნი სიამოვნებდენ განსაცხრომელს მეჯლისში გრაფინასა; რაინდი, რომლისა ვარჯი ჯერეთ აღუშვებდა კეთილ-სუნნელებასა, რომლისათჳს დამე ქ̃ე იქმნებოდა უგანასკნელი, და აწ რომლისადმიცა ჯერ იყო მოკუდომად საყდარსა შინა წმიდის იობისა,

საკჳრველთა შესაჭვრეტელთა, გათავისუფლდა მეხსიერ ული-
ულთ ძველთა მთიულთა კლდე კლდოვანთ ბუნებისა ზღვისა ქვე-
ნელოვანის კავკასიისასა, გინა ისპანიის ინკვიზიციონისასა.
მსჯელობისა შინა წმიდისა ლოცვისა ამა სასჯულისა გამო-
ამის ჰაერსა ამის დამთვრალ გარდა ქვეყანთა, რომელნი
შეეძლოთ ჩვენ ხილვა გამოსა სიღრმესა შინ, ადგილსა
სასახლეში ინგლისელთა, კუნძულთა ცხადნი მხ-
ედვარნი. გრაფინასა აქვს გონიერსა მოთხრობასა საზოგადონი
მოთხრობანი ამა სასჯულისათჳს. დასასჯელსა მიიყვან-
ეს ტოხტოხითან (ჯადოთან), რომელთა ჰქონდათ ოქროსა
დღე ... განმარტებით ... განმარტეს მას
სამოსელსა და შეაგდებდენ ცეცხლ; მიერ დღითგან ...
და ... დამშჳდებული და დაბრუნებული სიტყვით. ჩუ
დაისუფევდა ქვეთ სამით ... ...

ჯერნი მოსწავლისანი დაიწყნეს და საქმე მისისა ...
იგი დასთქვეს მას შინა.

— რანუში! რანუში! — შეჰყვირდა გრაფინა და სასო-წარ-
კვეთილებითა დაიმყრდა ხელთა. შემდეგ მიეჭრა
ის კარლოსს, რომელი, ... და გულ-მკერ-
დედ ეუბნებოდა სასჯელსა ამას, და ეტყოდა მას: — და რა

დანაშაული აქუს ამას?

— ის დანაშაული, რომლისათჳს სჯული ვენეციისანი დასჯიან სიკუდილით.

— ის დედა-კაცი და ქალი ვინ და არიან, რომელნიც უკან მოსდევენ იმას.

— ქალიცა და დედა-კაციცა ეგრეთვე დაისჯებიან, როგორც ისი. ის დედა-კაცი არი ტყუჱ, ცოლი იმისი; ქალი არი შვილი იმისი და იმ ტყვისა. ახლა ხო გესმის შენ, თუ რათ გირჩევდი მე შენ გაქცევასა? ეგევე სასჯელი მოგელის თქუჱნცა, ეგევე სვე გეწევის ხვალ შენცა, გრაფინავ ამოლა, და დოჯესაცა შენსა, საყვარელსა შენსა ალექსანდროს. ამპარტავანის ვენეციის სჯულში სწერია: ვენეციის აზნაური, მოქერე კავშირისა ტყუესთანა, შეაბილწებს სისხლსა ვენეციის პატრიკოსთასა. ისიცა და ისაცა, და შვილნიცა მათნი, ექვემდებარებიან ტყუეთა სასჯელსა წმიდის იობის ეკკლესიის ჰოზზოში.

გრაფინა იყო სრულიად დაბნეული, და არა ესმოდა მას ლაპარაკი კალიოსტროსი. დასასრულ შეჰკივლა მან:

— ოჰ, რა საშინელებაა! გამიშვით, გამიშვით შინაშ დროთა უნდა შევატყობინო მე დოჯეს!

— შეატყობინო დოჯეს! შეატყობინო რომ მიუტევოს იმან ამ უბედურებს? დაივიწყებ შენ, საფია, რომ დოჯე არა რაიმე. ვენეციის დოჯე ლანდია, სამასხარაო მდაბიოთა, სათამაშო დარბაისელთა, მოჩვენა სამეფოს ქლამინდში. დიაღ, დოჯეს შეუძლიან როარტავით გამოიხსნას ეს უბედურები; მაგრამ ხვალვე შეიძლება დოჯევ ექვემდებარობს ამავე სვესა; იმასაც ეგრეთვე მოიყვანენ ამ მოედანზე; ისიც ეგრეთვე მოიხედავს და დაინახავს თავის უკან ცრემლთა მდურელს, თავის ლამაზს ბერძენს, თავის საფიას, ამავე სასჯელისადმი განსჯილსა!

— და მე ხომ ტუსაღი არა ვარ! თავის-უფალი ვარ!— დაიყვირა საფიამ.

— თავის-უფალი ხარ!— განიხარხარა კალიოსტრო,— სტყუი საფია, სტყუი! ტუსაღი ხარ შენ. თხუთმეტის წლის წინ მოვუგე მე შენი თავი ქაღალდში, აქ ვენეციაში, გრაფს ტეკელლის... ხედავ ამ ქაღალდს?— და ამოიღო მან სიფრთხილით ჩალთა-ჯიბიდამ დაკეცილი ფურცელი:— ესეც შენს შუბლსავით თეთრია და წმინდა, მშვენიერო საფია; მაგრამ გაფრთხილდი: თუ არ ასრულებ ჩემს ნებას, ეს ქაღალდი გარდაიქცევა ჩემს ხელში

საჭურველად შენის სიკუდილისა.

საფია მდუმარებით მივიდა კარებთან, მაგრამ კლიტე
ვერა ჰპოვა მან. კალიოსტრომ განიცინა და სთქუა:

— საფია, უკანასკნელ-გზის გკითხავ შენ: გნებავს წა-
მომყვე მე და იხსნა დოჯე შენი, თუ გნებავს მოჰკუდე
შენც იმასთან?

— მე შენ მძულხარ და მეზიზღები, საძაგელო მაცთუ-
რო... ასე გგონია შენ, რო აქ შენს უფლებასა ქვეშ
ვიყო მე, რადგანც მომაშორე მე მფარველი ჩემი მარკიზ.
მაგრამ დაივიწყებ შენ, ერთი რო დავიძახო, მაშინვე რა
ნუმის ჯალლათები, რომელნიც ეხლა გამოვიდნენ საუ-
დრიდამ, დაგიჭერენ შენ და გადაგაგდებენ არხში. უთუ-
ოდ გგონია შენ, რო ვერ გავბედავ მე მახილს, რადგა
ნც დოჯის უცოდინრად ვარ მე აქ? ფიქრად ნუ გაქუს
შენ ეგე... ყოველსავე ვუმსხუერპლებ მე, თჳთ კეთი-
ლსაცა სახელსა ჩემსა, მხოლოდ კი დაგეხრწიო შენ, ამ
ისთჳს რო, განმეორებით გეტყვი მე შენ, მძულხარ შენ
და მეზიზღები... და მიყუარს ალესსანდრო...

— საფია! — დაიყვირა კალიოსტრო გულის-წყრომ-
ით,—: აბა ნახე! — და მიუახლოვა მან სანთელსა ქაღა-ლ-

დი თჳსი და მასზე მცირე მცირედ იწყეს გამოჩინებად ას-
ოთა; გრაფინა მრწოლით თვალს ადევნებდა გამოჩინე-
ბასა მათსა. როდესაც ყოველნი ასონი საჩინო იქმნენ,
მდუმარებით უჩვენა მას კალიოსტრომ ჴელ-მოწერილი გრ-
აფის ტემპელლისა.— ახლა სასჯელი შენი დაწერილია
წაუშლელით ასოებით. . . . აი, ნახე: ის შეკრულობაა
ეს, რომლითაც მომყიდა მე გრაფმა ტემპელლიმ თავისი
ტყუჱ ბერძენი საფია. . . არ გინდა იყო ჩემი? დავხევ
მე ამ ქაღალდს. . . .

— არას დროს, არას დროს!— დაიკივლა გრაფინამ გა-
ნივლტოდა რა მისგან.

— ოო, მაშ თუ აგრეა, მიუცილებლად იქნები შენ ჩე-
მი,— სთქვა კალიოსტრომ და შემოხვია მას ძლიერნი ჴე-
ლნი თჳსნი.

წამსა ამას კარების უკან განისმენ ჩქარნი ნაბიჯები;
ზანგი შემოვარდა ოთახსა ქაქანით და მოახსენა კალიოს-
ტროს:— პალაცცო შემორტყმულია პოლიციით. . .
აქ არი ის. . . მოდის. . .

— ვინ?

— ინკვიზიტორი. . . . თქუჱნი გაიდშკები დაიჭირ-

ეს. . . სხუა ხსნა არდა გვაქუს ჩუენ, გვირაბს გარდა, რომელიც წმიდის იობის საყდარს იქით გადის.

კალიოსტრომ განაღო კედელში დაფარული კარი, ანიშნა ზანგს გრაფინა და უთხრა:— აიღე ესა და მომყევ. . .

თვით წამსა ამას ფანჯრის მინები ჩაიმსხვრნენ, სარკმელი განეღო და ოთახსა შემოვარდა იზმაილ იატაგანით; მას შემოჰყვნენ ორი მეგონდოლე; აღიღეს მათ გულ-შემოყრილი გრაფინა და გამოიტანეს. კალიოსტრო და ზანგი მისი გაიქცნენ და კარი უკანით მათ გამოეხურა, ესრედ რომე გრიმანიმ და სბირთა მისთა, რომელნიცა მასვე წუთსა შევარდენ ოთახსა, ვერდა იხილეს უკუე ვერცა გრაფინა და ვერცა კალიოსტრო.

სბირების დაცემის დროს კალიოსტროს სახლზე, გაიდუკთა იწყეს ურთიერთში ბრძოლად და დამბაჩების სროლამ აღაშფოთა ყოველნი მცხოვრებნი მიყრუებულისა ამის უბნისანი. მოიდროიანა რა აღრეულობითა ამით იზმაილ დაბურა მასკა გრაფინას, მოასულიერა ისა და მშვიდობიანად მოიყვანა შინ.

დოჟე ალექსანდრო შემდგომად გაზირობისა კშირ-

აქ განაგრძობდა დანაშთენსა დამისასა ერთსა შინა ამ-ოლლას პალაცოს ოთახთაგანსა. სარწმუნომ მოახლემ მოახსენა გრაფინას, რომე მყოვარ ჟამ უკუ-მოქცეულ იყო უკუჶ ისი, ეკითხა მას გრაფინა და დაწოლილიყო გან-სასვენებელად. საფიამ საჩქაროდ განვლო აივანნი, რომელთაცა შინა ჯერეთ იყვნენ კუალნი გუშინდელისა მე-ჯლისისანი, დასწვა ხათვანგს დაფარულისა კარისასა და განსცხადდა მშვენიერსა სადგომსა განცხრომით შუქნი-ერ-გვარად მორთულსა აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ. დოჯე, სრულებით ტან-მოსილი იწვა დიდ-მშვენიერის დივანის რბილს ბალიშებზე. გრაფინა მიეახლოვა მას ფეხის თითებზე. ალექსანდროს ეძინა ძილითა მძიმითა და განუსვენებელითა; დროებით განუწყვეტელნი ჴმანი გამო-ვიდოდენ ბაგეთა მისთაგან. პირველი ლექსი, რომელი-ცა ესმა გრაფინას, იყო: ოტტალე!... ოტტალე!..

გრძელით ჟამით იცნობდა გრაფინა პატიოსანსა გე-ნერალს, ზარაფხანის მცველსა ოტტალეს. უწყოდა მან, რომე ოტტალე, განშორდა რა ხალხისაგან, რომელსა შორის ჯერეთ დაუვიწყებელ იყო ნაჯისობა ურიებზე, სცხოვრებდა გეტტოს უბანში, იშვიათად გამოვიდოდა

შინადამ და განსცხადდებოდა მხოლოდ სადღესასწაულ-ოთა შეკრებილებათა შინა დოჟესსა. დოჟე არა გარ-ჯიდა მოხუცებულებასა მისსა და კმარად დაიარებოდა თჳთ ისი მასთან; თითონ გრაფინაცა არა იშვიათად ეწ-ვეოდა მას, რადგანც დიდად უყვარა მას ასული ოტტა-ლესი, მშვენიერი ძიანა. არა ოდეს უუმცირესსაცა იჭვ-ნეულებასა არა განუვლიეს გულსა შინა გრაფინასასა, თუმცადა დოჟე კმარად ლაპარაკობდა ძიანაზედ და მარად უწოდებდა მას ვარდად გეტტოსა.

— უსათუოდ ხედავს ძილში თავის მეგობარს და მრწე-ველს ოტტალეს, — სთქუა თავსა შორის თჳსსა გრაფი-ნამ. — კმარად მომაგონდების მე, რასაცა მეტყოდა მე საშინელი ინკვიზიტორი, სენატორი განდონე. ისი ერწ-მუნებოდა მხოლოდ იმას, რასაცა პყრობილნი წარმოსთ-ქმიდენ ძილში. . . საყვარელო ალექსანდრო, რა უნდა წარმოსთქუა შენ ძილში ისეთი, რამმცა შეიძლოს ჩემის სიყუარულის აღფხვრევა.

გრაფინამ შეხედა ხატსა ძველსა, ბიზანტიის ხელო-ვნობისასა, რომელიცა დაჰკიდებულ იყო კედელზე და დაიჩოქა მის წინ. რა ილოცა ჩამოიღო მან ხატი, გამო-

სწივა უკანა ფიცარი და მის ქვეშეთგან გამოიღო მეორე ფიცარი სანდალის ხისა, რომელზედაცა დამაგრებული იყო შავის თმის ნაწნავი. თვალთა მოერთვნა მას ცრემლნი და სთქვა:

— პოვერეტა! * კი წუხვარ მე შენთვის, მაგრამ იქნება უმჯობესიცა იყოს, რო მოჰკვდი შენ: ვინ იცის, თუ რა შეემთხვევა კიდევ უბედურსა დედასა შენსა! ახლა შენ, უეჭველად, ილოცავ ჩემთვის წინაშე უმაღლესის საყდარისა. ოჰ, ყრმისა ლოცვანი სათნო არიან ღმრთისა: შემიწყალებს მე ისი.

კვალად დასდვა მან მკერდსა ნაწნავი თვისის მკვდრისა ასულისა—ყრმაასა ხატს უკან, დაჰკიდა ის კედელზე და ახლად მიეახლოვა სარეცელსა დოჯესსა.

— ფული!— იტყოდა დოჯე,— ფული! . . . სადამ მოვიტანო! ოტტალე. . . ფული. . . ფული!

და ამინარე განიმეორდა ისი კელთა, რეცა თუ ენება შემოეხვია ოქროსათვის. . .

— უბადრუკი!— სთქვა თავსა შორის თვისსა გრაფია

(*) პოვერეტა! საწყალობელო ანუ უბედურო.

ნამ,— რესპუბლიკის საქმეები ძილშიც არ ასვენებენ ამ-ას.

ერთხამ ალექსანდროს სახემ მიიღო გამოხატულობა გრილი, დამაშვრალი, თჳთ საძულველი ჱ წარმოსთქუა მან, თითქოს ჴელსა ჰკრევდა ვისმე: — ისა! . . . ყოველ-თჳს ისა! . . .

საფიამ ძრწოლით დაიდრიკა თავი მისდამი. მაშინ მშვენიერი სახე ალექსანდროსი განბრწყინდა სიხარულით, სიყვარულით, განიღიმა მან ჱ შეესმა გრაფინას, რომე წარმოსთქუა მან სახელი მისი.

— უთუოდ მხედავს მე ძილში,— სთქუა მან თავსა შორის თჳსსა.

— ძიანა! . . . ძიანა!— წარმოიძახა ალექსანდრო.

გრაფინა შჰუ-ხლცა, თითქოს დაეგო პირსა ხანჯ-ლისასა.

— ძიანა!— განამეორა გრაფინამ.

ბაგენი საფიასანი სთრთოდენ, თვალნი დაუბნელდენ მას.

— ძიანა! . . . ძიანა! . . . ოჰ, ღმერთო! . . — სთქუა კიდევ დოჯე. იტყოდა ისი კჳალად რასამე, გარნა

სუსტნი ჴმანი იგი არა მიაღწევდენ ყურთადმი საფიასა-თა. გრაფინამ იწყო შიშფოებად. თვით ჟამსა ამას ოთა-ხის კარებთან განეცა ნელი წკარუნი და კლიტის ჭვრი-ტინადამ შემოუშუქა ქოხსა მას სხივი სინათლისა. გრა-ფინამ ვერღა მოასწრო დაეძახა, ვითარ განეღო კარი და შემოვიდა ფანრით კაცი ზინიშიანი და შლაპიანი. უკუ-სდგა ისი, იხილა რა გრაფინა, მსგავსად ძეგლისა, უძრავ მდგომარე მძინარის დოჯეს განსასვენებელთან.

კლიტისა ჟღეროვნებამ გამოაღვიძა ალექსანდროცა. წარმოსჯდა ისი და განცვიფრებით უმზერდა გრაფინას და კაცსა მას.

რომელსაც უცნობმან აღიხადა შლაპა თვისი, დოჯემ დაუძახა მას:

— თადდეო შენ ხარ?

— მე გახლავარ, თქვენო უგანათლებულესობავ. ოტ-ტალე ჯერ კიდევ ზარაფ-ხანაში გახლავს. თავისის უძ-ლურების გამო, ვერ გაუბედნია იმას ღამით ქუჩებში სი-არული და გთხოვსთ თქვენ იქ მობძანდეთ. მომიტევეთ რომ ასე უდროოთ გიახელ, არ ვიცოდი რომ მოისვენებ-დით.

— ეხლავ წავიდეთ ერთად. მოიცადე წამი ერთი.. — მასუკან მიუბრუნდა ისი საფიას და ჰკითხა: — შენ რატო არ გშინავს?

— არ მეშინება და მოველ შენახა შენი გულიანი მილი. ალესსანდრო, არ შეიძლება მოვილაპარაკო მე ეხლა შენთან?

— მომიტევე, ჩემო საყვარელო, ეხლა არ მცალიან, ოტტალესთან მივალ.

— ნუ თუ არ შეიძლება ხვალამდის დაუტეო ეგ ნახვა?

— არ შეიძლება, ამისთვის რომ ხვალინდელი დღე დამოკიდებულია ამ ნახვაზე; მაგრამ მალე კი მოვბრუნდები.

და წავიდა ისი. გრაფინამ მძიმედ ამოიოხრა. მერმედ დაწვა მოსასვენებელად, მაგრამ დიდს ხანს არ დაეძინა, თუმცადა იყო დიდად დაღალულიცა, — იჭვნეულება ჰქეჯნიდა მას.

დღესა მეორესა, ოთხს საათზე, შუა-დღის შემდგომ, ორი კაცი სჯდნენ კაპიტონის მცირეს ოთახში, საშუალ რიალტოსა. ერთი მათგანი უფროსე იწვა, ვიდ-

რედა სჯდა სარკმელთან მდგომარეს დიდს, ძველებურს სავარძელზე. მის წინ მცირე ფეხთ-სადგური და გვერდ-ით მისა, სტოლზე გრაფინკა ოხარშულით ლიმონადი-თურთ მოასწავებდენ, რომე ავად იყო ის. მეორე იყო შავით ბადუკტათი და სამ-კუთხიანით შლაპით. ეს უკანა-სკნელი ნიკაპით დაჰრჯენილი იყო თჳსის კოჭრთხის ოქ-როს თავზე და, როგორც სჩანდა, წესიერად მოიწყენ-და. უეცრად ავად მყოფმან დაჰკრა სტოლსა მუშტი და დაიყვირა:— უსაცილოდ მავიწერ მე ამას ბიძაჩემს სარ-ტინს!

— მისწერეთ რაც გნებავსთ მგონია ჩემი დანაშაული არ გახლდეს, რო ერჳვით-თქჳენ პოლიციის საქმეებში. აქ ხო პარიჟი არ არი, და თქჳენცა, როგორც ვიცი მე, არა ბძანდებით პოდესტა. *

— წყალობიენით აქედამ! არაფრის პოვნა არ შეგიძლი-ანთ თქჳენ, თითონ იმათიც, ვინც უთქვენოდ გახშმო-ბენ თქჳენსა. და ამ სახით, როგორ გეპრიანებათ თქჳ-

---

( * ) პოდესტა: ქალაქის მთავარი ანუ მსაჯული იტალი-ის ქალაქებში

ფრ დაიჭიროთ ის ცბიერი კალიოსტრო!

— მოიხსენიეთ, რო ჯერ მხოლოდ მეორე დღეა და მე მივე ჩემს ჯაშუშებს პაემნად ერთი კვირა კალიოსტროს პოვნისათჳს. თუ არ იპოვნიან, მაშინ ჴელ-და-ჴელ მივსცემ მე იმათ მესსერ გრანდეს. . . ისი გაუსწორდება იმათ თავისებურად.

— კარგი პოლიციაა, როდესაც აქ სახლებში არიან სამალავები, ისე რო, წესიერი კაცი, როგორც მე მაგალითებრ, ქვესკნელს ჩაბძანდება სკუპით თხუთმეტ ბიჯად-მდე. სხვებრ, ამაზე არ ვიჩივლებ მე, თუ მომცემთ სიტყვას, რო, მინამ გამოვიდოდე მე შინადამ, დავინახო კალიოსტრო სახრჩობელაზე.

— რაც შესაძლებელია ჩუენგან, არას დავზოგავთ. ჩემს მოსამსახურეებს აქუსთ აღწერა იმის ნიშნებისა.

— რომელი აღწერა? . . . ახა ღმერთო! გეუბნებიან თქუენ რო უნახავსთ ისი ვართაპეტის ანაფორათი, და ისი კი, ჩაცმული დიდკაცურად, გულ-დამშვიდებით მჯდარა თეატრში. მეორეს ჯერ უდარილებთ თქუენ იმას ქალაქის გარეთ ბაღში, სადაცა მიჰყავსთ თქუენს პატრიკოსებს თავიანთი საყვარლები, ისი კი, მასკიანი შე-

ექცევა პრაკტო' დელლა ვალლაში და სვამს ყავას თქჳე-ნთავე მოთვალყურეებითანა. კალიოსტრო ისეთი კაცია, რო დაჯარებაში გარდაიქცევა ეშმაკად ან დიაცად, და ყოველთჳს დაგისხლტებათ ჴელიდამ... მოსმენით დედათ მონასტერში, მურანოში; იქნება იქ შევიდა ისი მოლოზნად...

მაშინ მარკიზ ჴელი დაიდვა გვერდსა, რადგანაც სტკიოდა მას ისი დიდის დაჭეჭქულობისა გამო დაცემის დროს.

— აი, ეხლა ერთი კვირა მაინც უნდა ვაჯდე მე შინ, მაშინ რომელსაც უნდა დამებოლოვებინა მე ერთი სამიჯნური საქმე ერთს მშვენიერს ქალთან.

— ვისთან? — ჰკითხა გრიმანი.

— ნუ სწუხთ, თქჳენს ცოლზე არ მოგახსენებ. მაგრამ კი სინიორა გრიმანი იქნება იყოს ტკბილი ლუკმა სენატორისათჳს. უნდა ეკითხოს ესე იმას, განა ვახშამს შეექცეოდა იმასთან, რომელსაც პადუაში სუფევდით თქჳენ.

გრიმანმა იკვნიტა ტუჩები: მარკიზ მეორედ უკჳე შეექცეოდა მისს ანგარიშზე.

— თქჳენ გგონიათ, მარკიზ, რომ ჩუენი პოლიცია სუსტი იყოს, მაგრამ თქჳენ თითონ არ იცით თქჳენის სახლის ვითარება ისე, როგორც მე. იმ დროს, როდესაც თქჳენ იჯერდით ცრუ-სახელას გრაფს ლიპპონესთან, აქ თქჳენსა მოხდა ერთი სასაცილო საქმე. თქჳენ ხო არ იცით ესე?

— რა საქმე?

— გუშინ, გრაფინას ბალის შემდეგ აქ იყავით თქჳენ. . .

— მე? თქჳენც იცით, რომ ბალიდამ პირ-და-პირ წაველ მე იმ წყეულს ლიპპონესთან და რომ თქჳენის მოსამსახურეების მხოლოდ დღეს დილას შეესმათ ჩემი ყვირილი იმის სარდაფიდამ, გამომიტანეს იქიდამ და მომიტანეს აქა. . .

— ყოველივე ეგე ვიცი, მაგრამ ესეც ვიცი, რომ იმავე დროს აქ იყავით თქჳენ და რაღასაც იძებდით თქჳენის ბუროდამ. . .

არა მიმხედველი გვერდის ტკივილისა, აღსდგა მარკიზ და მივარდა თჳსსა ბუროსა. ფულები, რავდენიც ჰქონდა მას, ბრილიანტის ნივთები, ბაშფორთი, ყოველ-

ივე დაკარგულ იყო.

— გამქურდეს! გამქურდეს! — დაიყვირა მარკიზ.

— ვიცი, — გულ-გრილად სთქვა გრიმანი. — წიგნით მაცნობეს მე ეგ ამბავი. ამბობენ ვითომც ეგ ფულები არ-კი მოუპარავსთ თქვენთვის, მხოლოდ თქვენის დაუკითხავად უსესხნიათ და თავის დროზე მოგართმევენ.

ამ დროს მარკიზს მოუტანეს ბარათი გრაფინასაგან და ქარაფშუტამ ფრანცუზმან დაივიწყა დანაკარგი თვისი. რა განვიდა გრიმანი, მაშინვე იწყო მან ტანს-ჩაცმა, მოაყვანინა მეტახტრავანდენი და წარვიდა ამოლას პალაცცოდ.

ამისა შემდგომ, ნახევარ საათის უკან, მარკიზ სჯდა უმუ̂ყ გრაფინასას და ლიკლიკებდა არშიყობასა. ფიქრ-დაბნეულად მოისმენდა ისა უბედობასა მისსა. ჩვეულებისამებრ ყოველთა მოარშიკეთა, მეცადინობდა ისი ადემრა იჭვნეულობა მისი დოჯეზე.

— დიაღ, გრაფინავ, — იტყოდა ისი: — ვსწერ მე ჩემს ავთრათებს და გავუგზავნი იმათ ბიძია სარტინს. მინდა ვაჩვენო იმას, რო ვსაქმობ მე აქა და ცუდად არა ვარ: შევნიშნავ ზნეთა.

— რა შენიშნეთ? — ჰკითხა მან ღიმილით.

— სხვათა შორის, აი რა, გრაფინავ. როგორ მშვენი-ერად არიან დაწყობილნი თქვენნი სახლები! თვითოეულ-ში ორი შესავალ-გამოსავალია: ერთი ხმელეთისაკენ და მეორე არხისაკენ. საწუხარია რო არ შეიძლება ამისი შე-მოღება ჩვენს პარიჟში! საკვირველად მოხერხებულია: ერ-თი შემოდის აქედამ, მეორე გადის იქიდამ, და უსიამოვ-ნოდ არ შეეყრებიან ერთმანერთს. მაგალითებრ, თვით იმ დღეს, რომელსაც გავშორდი მე და ისე საოცრად მო-გექეც თქვენ. . . იმ საძაგელის გრიმანის რჩევით. . . მაგიერს კი გარდავუხადი მე იმას. . . ვნახე მე, რომ ერ-თმა სინიორმან ისარგებლა ამისთანა მშვენიერით დაწყ-ობილებით შესავალ-გამოსავლისა და მიიპარებოდა ერთს ლამაზს ურიის ქალთან. ის ქალიც კი დავინახე მე შო-რიდამ: მალიან ლამაზია. . . იცით ვისა ჰგავს?. . . აი, იმ ქალს, რომელსაც თხოულობს მქანდაკებელი. . . მგონია თადდეო? . . .

— მიანასა?

— დიახ, დიახ, მიანასა. კავალერი მასკიანი მივიდა ურიის სახლის კართან წყლის პირისაკენ, სწორედ პირ-

ჲ-პარ წმიდის იერონიმეს ეკკლესიისა. . .

— პირ-ჲ-პირ წმიდის იერონიმეს ეკკლესიისა!

— დიაღ. მგონია ის იყოს პეტტონის უბანი.

გრაფინამ დაიქნია თავი.

— კავალერი კარგად ვერ გავსინჯე; თვალი კი შევას-წარ, რო თითზე ჰქონდა იმას ბეჭედი, თითქმის ისეთი, როგორც დოჯესი. . .

— ეე! კმარა, მარკიზ, — სთქვა გრაფინამ იძულებულ-ით სიცილით: — თქვენ გნებავსთ, რო ალექსანდრო და ვსწამო მე ჟიანას, მაგრამ ვერ მომატყუებთ.

— ფიქრადაც არ მომსვლია მე ეგე; გარწმუნებ თქვე-ნ. ჲ თუ არ მერწმუნებით, ჟიანა ეხლა ქვევით სვეტებ-თან ვნახე მე თავის საქმროთი ჲ რადასაც ევაჯრებოდა ვიდასაც ურუმს, უბმანეთ დაუძახონ ჲ თითონ იმას ჰკით-ხეთ. ხვალ გვიანდა იქნება; ჯვარს დაიწერენ ისინი ჲ უეჭველად თადდეო წაიყვანს იმას ვენეციიდამ.

— ჲ რათ უნდა წაიყვანოს?

— რა ვიცი, კაცია ჲ ბუნება. ესეც კი უნდა გითქვა, იქნება კავალერი მობეზრდა კიდეც სიარულით თავის ურ-იის ქალთან: აქაც ხო ახალ-გასდა კაცები ისეთი ქარი-

ანები ყოფილან, როგორც ჩჳენში, — ერთი და იგივე მალე აუჩუყებს გულს. მაგრამ კი, სწორე მოგახსენო, თუ ვცდილვიყავ . . . მალიან ლამაზი ქალია! საკვირველი არ არი, რო დოჯჳე მოხვევნოდა იმას გუშინ იმისთანა ტრფიალებით.

მარკიზ მიემთხვევოდა უკჳე განზრახვასა ოჯსსა: გრაფინას ჰქონიდა იჭვნეულობა. საბედნიეროდ, თჳთ ჟამსა ამას შემოვიდა ძიანა. იყო ისა, როგორც გუშინ მწუხრზე, თეთრით ტანისამოსით, გარნა დიდად უფერულ და იჩვენებოდა დამაშვრალ.

— რად ხარ შენ დღეს აგრე გადაფითრებული, ძიანა? — ჰკითხა გრაფინამ.

ძიანა განსწითლდა.

— იქნება იმისთჳს, თქჳენო ბრწყინვალებავ, რო მრთელი ღამე მამას ლოდინში ვიყავ და თითქმის არა მძინებია. ისი და დოჯჳე ზარაფხანაში იყვნენ.

— გამიგონე, ძიანა. მე უნდა გკითხო შენ ერთი საქმე. ნუ შეგრცხვება ამ ბატონისა და გაბედვით ილაპარაკე. ხო არავინ დაიარება მამაშენთან მასკიანი კავალერი?

ძიანა სახეზე აღირივა.

— რა ამბავია, მიანა, რო ხან სწითლდები შენ და ხან ყვითლდები? . . .

— საიდუმლოა ესე, თქუენო ბრწყინვალებავ. აქამდ-ინ არავისთჳს არ მითქუამს მე ესე; მაგრამ თქუენთან არა მაქუსრა მე დაფარული. . . დიაღ, მართალია; ხან-და-ხან, ღამით, მამასთან დაიარება ვიღაც მასკიანი კაცი. პირველად იშვითად მოდიოდა ისი, მაგრამ ერთი თთჳე იქნება, რო გაამჲდმა იმან ჩუენთან სიარული. . . იმას აქუს გასაღები წყლის პირის კარისა. ყოველთჳს მომი-ტანს ხოლმე მე ისი ყვავილების კონას და დამელაპარაკე-ბა; მასუკან მასკითავე მყოფი და ყოველთჳს როგორღაც საოცრად აღელვებული, დამიჭერს ჴელს, წამიყვანს ჩემს ოთახში და იქ. . .

— და იქ რა? . . .

— დამკეტს მე კლიტით.

— მგონია ჯერ ცუდი არა სჩანსრა ამის ლაპარაკისა-გან, მარკიზ? სთქუა გრაფინამ დაცინებით შეხედა რა მას.

— მოითმინეთ, გრაფინავ, მოითმინეთ; ჯერ სულ არ გაუთავებია. სთქჳ ქალმა.

— როდესაც ვსწევარ ქვეშ-საგებში, ყოველთჳს მესმის მე, რო მამა და ის კაცი ლაპარაკობენ; მაგრამ იმათ სიტყვებს ვერ ვიგებ. . . მამიჩემის სამუშაო ოთახი გახლავს ჩჳენის სახლის უკან. ჩემს დღეში არა ვყოფილვარ იმაში. მამა არავის არ უშვებს იქ, მხოლოდ ისი და ის უცნობი არიან ხოლმე იქ. . . ვერ მივმხჳდარვარ თუ რას აკეთებენ ისინი იქ; ხან-და-ხან კი ვგრძნობ მე, როდესაც გამომეღვიძება, რო კომლის სუნი სდგას.

— უცნაური ისტორიაა,— სთქჳა გრაფინამ.

— მით უმეტეს უცნაურია,— სთქჳა აბეზარმან მარკიზ,— რო დიდად ეთანხმება ესე იმას, რაც მოგახსენე მე თქჳენ, გრაფინავ. . . აბა მოიგონეთ, სწორედ იმ დროს ხო არსად გავა ხოლმე შინიდამ დოჟე?

— დიაღ, მართალია; თითქმის ყოველ ღამ გავა ხოლმე.

— მაშ რაღა, სჩანს ან ოქროს კეთებაშია ისი, ან ეძიებს საფილოსოფოსო ქჳას,— სთქჳა მარკიზ სიცილით.

გრაფინამ განიცინა და მყისვე ჩაფიქრდა. დასასრულ უთხრა მიანას:

— გაგახაროს, ჩემო საყვარელო . . . ახლა კი მშვიდობით და უთხარ შენს საქმროს მოიცადოს; საქმე მაქვს მე იმასთან.

და უბრძანა გრაფინამ პირის-ფარეშასა თვისსა განაცილოს მიანა.

რა გამოვიდა მიანა, გრაფინამ დაიყვირა:

— აი, რად მაგდებს მე ისი ყოველს საღამოს! მარკიზ, ხვალ მე და თქვენ გონდოლით ვიაროთ გარშემო ოტტალეს სახლის.

— თუნდ დღესვე, გრაფინავ. ყოველთვის მზად გახლავარ თქვენის სამსახურისათვის.

— დოჯე!— დაიძახა გრაფინამ, გაიხედა რა სარკმელიდამ;

— გაბმანდით, მარკიზ; იზმაილ ქვეით გახლავს და გაგაცილებს.

მარკიზმან ამბორს უყო საფიას ხელზე და გამოვიდა. მისის გამოსვლის მალ შემოვიდა დოჯეცა.

— ჯერ კიდევ არა გძინავს, საფიავ?— სთქვა ალექსანდრომ ალერსით, მოჰკიდა რა მას ხელი.— რა ამბავია? თითქოს გაკანკალებს შენ!

-- შენ რო დაიგვიანე გიწუხდი მე შენთვის. უთუოდ უსიამოვნობა რამ გაქვს შენ. გუშინ გახველ შენ მაშინ, როდესას ჯერ ბალი არ დასრულებულიყო და ღამით ოტტალეს კიდევ დაებარებინე. . .

— ბარბარიის დესპანმა გაგვიჩინა ჩვენ საქმეები; მაგრამ შეწუხებად არ ღირს ეს, ჩემო საყვარელო. ზეგ ჩვენი ფლოტი ჩაეშვება ზღვაში; პატრიარხი აკურთხებს იმას. მე, როგორც ბუცენტავრის გასვლის დღეს, ვიდგები ხომალდის ცხვირზე; ჩემს გვერდ იქნები შენ დიდმშვენიერად მორთული, მრთლად ბრილიანტებში. . . ნეტაი იმ დღეს შვენოდე შენ. გახსოვდეს, საფია, რო თითქმის დოგარესსა ხარ შენ. . .

— თითქმის დოგარესსა! . . . რასაკვრველია ვიქნებოდი მე დოგარესსა, რო მომატებულად გიყვარდე. . .

— განა ცოლ-ქმარნი არა ვართ ჩვენ? ვენეციაში ჯერ არს არ დავგწერდნენ ჩვენ და ამისთვის დავგვირგვინდით ჩვენ რომში. ნუ თუ სულ ერთი არ არი ეს? შენ თითონ იცი, რო ჩემზე არ არი დამოკიდებული, რო სააჯმნოდ აღვიარო ქორწინება ჩვენი ვენეციაში. რანუ-

მის ისტორია, რომელიც შეიპურეს შენს ზალში. . .

— რანჟუმისა! — სთქჳა განგებ განცვიფრებულმან გრაფინამ. — რა მოუვიდა რანჟუმის?

— დაისაჯა ისი ჲ თავისთან ჩაიტანა ორი მართალი სული: ცოლი ჲ ქალი. . . ამის მნახველთ შეუძლიანთ-და. . .

— ჰო, მართალი ხარ შენ, ალექსანდრო; ქვეყნის თვალ ქვეშ უნდა დავრჩე მე შენს ხასად. . . . მე მყვანდა ანგელოსი, რომელსაც შეეძლო დასარჩლება ჩემი, ჩემი ქალი. . . მაგრამ ისაც წამართვა მე ღმერთმა. . .

ჲ მიიფარა საფიამ კელები პირის-სახეზე. სდუმნა რა წამი ერთი კჳალად სთქჳა მან: — ახლა შენც თითქმის უცხო შეიქენ ჩემთჳს; ასე კმირად თავს მანებებ შენ მე მარტოს ჲ არც კი გინდა მითხრა. . .

— რა უნდა გითხრა, ჩემო საყვარელო? სხჳა რა საქმეები მაქჳს მე, თუ არა რესპუბლიკისა. ჲ რად გეჭირება შენ იმათი შეტყობა! შენც ისე დაგაბერებენ ისინი, როგორც მე. . . არა მიმხედველი ჩემის საქმეებისა, ყოველსავე ვიქმ მე, რაც შემიძლიან შენის ბედნიერებისათჳს, ჲ რაღა გინდა შენ ჩემგან?

— ის მინდა, რო უფრო ხშირად იყო შენ ჩემთან. . . დასჯეგ ჩემს გვერდ, ალექსანდრო, და გამაძღე შენით ყურებით. . . — სთქვა ცრემლილმან გრაფინამ ღიმილით, — ასე მგონია მე მრთელი საუკუნე არ მენახო. . . დღეს დარჩები ჩემთან და არ წახვალ განა? . .

— არ შეიძლება! — სთქვა დოჯე იძულებით.

— არ შეიძლება! რატომ?

— ხვალ, დილად, ხვალ მრთელი დღე შენთან ვიქნები.

— ხვალ! სულ ხვალ! . . . ნეტავი ვიყო მე ეგ ბეჭედი! . . . არასდროს არ მოიშორებ შენ მაგას ხელიდამ. . .

— განა არ იცი, რო დოჯეს ბეჭედია ქვე და ხელიდამ წამრთობა ამისი არ შემიძლიან.

— როგორ კარგაა გაკეთებული, — სთქვა მან ნელიად წაართობდა რა დოჯეს თითიდამ ბეჭედსა მას. . . — ნამეტნავად ეს ქულუჩა. ხო გაიღება. . . ნეტავი ვიცოდე რა არი ამაში. . . თქვენმა მზემ იქნება ქალის თმაც იყოს. . .

— რა დაგმართვია, ჩემო საყვარელო! . . — მაგრამ

მე ვხედავ რომ კუდიანობ და განგებ იჭვნეულობით მოუ-
იკატუნებ შენ თავს ეგების დამიჯირო.

— და თუნდ აგრეც იყოს?— სთქვა საფიამ, მოხვივა რა მშვენიერნი ჴელნი თჳსნი კისერზე დოჯეს და უმზერდა მას ტრფიალებით თვალებში. დღეს დარჩები ჩემთან, განა ალექსანდრო? არა, გეთაყვა?

— არ შემიძლიან, ჩემო სულო. ხვალ შენი ვარ, დღეს კი მოუცილებლად უნდა წავიდე სავაზიროს: უნდა შევჳდგინოთ დარიგება სპასალარს, რომელიც დანიშნულია ფლოტის უფლად.

— მეც შენთან მოვსდივარ,— გარდაწყვეტით სთქვა საფიამ.

— სავაზიროს?

— კარგა ვიცი რომ დღეს ვაზირობა არ იქნება. . . გამიგონე, ალექსანდრო.

— დასძინა გრაფინამ მთრთოლარით ჴმით,—: დიდი ხანია გატყობ, რო არდა გიყვარვარ შენ მე. . . უმჯობესია შენ თითონ აღვიარო და მაშინ იქნება ვიპოვო მე ჩემში ეგოდენი ძალი. რომ დავემორჩილო ჩემს ბედისწერას. . . და თუ გასხდი შენ მე მრთელის ვერ ეცრის სა

საცილოდ. . . ოო, მაშინ გაფრთხილდი, ალექსანდრო; მაშინ ვაი შენცა და იმ ქალუასაცა! . . . გულს ვისრულებ მე.

თვალნი მისნი ელვარებდენ, ქედ-მაღლობა და მალინების გამოიხატებოდენ სახესა ზედა მისსა; იყო ისა ჴა ეროვან და საშიშარ. თჳთ სუსტი შემნიშვნელიცა შეამცნევდა, რომე დედა-კაცსა ამას აღესრულებინოს ქადილი თჳსი ვითარითამე ღონის-ძიებითა. გარნა დოჯე ალექსანდრო არა მათ კაცთაგანი იყო, რომელთაცა შეშინება ადვილ იყოს. აღსდგა ისი და მდუმარებით წარვიდა კარებისაკენ; გრაფინა გაიქცა და წინ გარდაუდგა მას კარებში.

— საფია, მოეგე გონსა, უნდა წავიდე.

და ნელიად ჩამოაყენა რა ისა კარებიდამ, განვიდა ისი. დამდაბლებული, მთრთოლარე ყოვლით ასოთი, გრაფინა კნინღა მივიდა მოაჯარადმდე. ღამისა ჴაერმან განაგრილა ისა. მოიხსენია მან, რომე თადდეო, ბრძანებისა მებრ მისისა, ელოდებოდა მას, დაუძახა მას, უბრძანა მას წამოესხა ბინიშა და აღედო კრმალი და გამოვიდა მათურთ პალაცციოდამ, არა დაივიწყა რა კანჯალიცა თჳ-

სი.

ღამე იყო ცივი. საათმან უკჳჱ დაჰკრა ერთი შუა-ღამიდამ, და ძიანა, მოელოდებოდა რა მამასა თჳსსა, ჯერეთ სჯდა განღებულს სარკმელთან. დასასრულ, რათამცა დაამშჳდნეს განუსვენებლობა თჳსი, გარდასწივა მან სახატეს ფარდა, სადაცა დაიფარებოდა ხატი ღჳთის მშობელისა და მოწიწებით მოიდრიკა წინაშე მისსა მუხლნი.— ძიანა იყო კათოლიკე.

შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ოტკალე უკუ-მოიქცა სახლად თჳსად უფერული, დამაშვრალი და დაღონებული. ძიანა სიხარულით მიეგება მას.

— როგორ დაღალულხართ, მამავ,— სთქუა მან, აღხედიდა რა მას წვიმისაგან დალუმპილსა ბინიშსა და წითელსა შლაპასა, ვითარისაცა დაბურვად ვალდებულ იყვნენ ებრაელნი ვენეციაში.— დღეს რატო არ წაიდეთ თქუჱნი გონდოლა?

— იმიტო არ წავიდე, შვილო, რო ვენეციის პატრიკოოსებს სრულებით არა აქუსთ ყურად-ღება იმათ წლოვანებას და შრომაზე, ვინც ემსახურებიან იმათ. და ან კი რად ვემსახურებით ჩუჱნ იმათ? განადა იმისთჳს, რო ნე

მენცენი სარგებლობენ ყოვლით სამართლით და უპირა-
ტესობით, ყოვლით პატივით, და ჩუჱნ, უგულებელ ქმ-
ნილნი, იძულებულ ვართ გვეხუროს წითელი შლაპა და
გვეფაროს ყვითელი გულის-პირი, რო პირველითავე შე-
ხედვით გვიცნან ჩუჱნ; დაგვამწყვდევენ ჩუჱნ, კეთრ-
ოვნებსავით, განშორებულს უბანში და შეურაცხ გვყო-
ფენ; მაგრამ კი ის უფლები, ამაყნი პატრიკოსები ყვე-
ლანი ჩუჱნს ჴელში არიან. . . და ან კი რა ბძანდებიან
ის სამაგლები გარყვნილები! ახლა მრთელს ვენეციაში მხ
ოლოდ ერთი ჭეშმარიტი ვენეციელიღაა — დოჯე. ის-
იც რო არ იყოს, არც ვენეცია იქნება. მხოლოდ იმის გუ
ლისათჳს ვიდუწი მე და ყოველთჳს მზა ვარ შრომად.
დღეს ჩუჱნები ყველანი მოვიარე მე, მაგრამ, საუბედუ-
როდ, არავისა აქუს ფული, და არ ვიცი თუ რა უნდა ჰქ-
ნას ხვალ დოჯემ. ფლოტის განსვლის წინ უნდა დაუ-
რიგოს იმან მეხომალდეებს ჯამაგირი, და არა აქუს რა
კი.

— რამდენჯერ გიბძანებიათ, მამავ, ჩემთჳს, რო როდ-
ისმე დაუხსნიხართ თქუჱნ დოჯეს ალექსანდროს სიკ-
უდილისაგან.

— დიაღ, მართალია, შჳლო...

და მადლობელმან მოხუცმან ახლად იწყო მოთხრობა ისტორიისა, რომელიცა არა ერთ-გზის სმენოდა ასულსა მისსა. — ამაოდ მორწმუნე ერი, თავის ჩვეულებისა მებრ, ყოველს თავის უბედურებას ჩუენ უბულებელ ქმნილთ ებრაელთ გვაბრალებს, და ამისთჳს თავის სიცოფეში ერთხელ ეძებდა რა მსხუერპლს თავის გესლის აღმონთხევისათჳს, შემოვარდა ჩუენს უბანში, მომვარდნენ მე და გამიტაცეს სასიკუდილოდ. თოკზე რო ვეკიდე მე და ჩემს გარშემო იწყევლებოდენ... უცებ ვიღამაც განაპო ის გაბრაზებული მდაბიო ხალხი, ამოიღო ხანჯალი და გულ-გრილად გადასჭრა თოკი, რომელზედაც ვეკიდე მე... ამაზე ყოვლით მხრით დაიღრიალა გაცოფებულმა ხალხმა და კელები აიქნიეს იმ კადნიერზე. მაშინ იმან კმა-მაღლა დაიძახა: მართლ-მსაჯულება ყოველთათჳს და თჳთოეულისათჳს არიო! მე ვარო დოჯე, რომელიც ამაღამ აღმომირჩიეს სავაზიროში... და მე, შვილო მიანა, მთრთოლარე ყოვლით სხეულით, ცოცხალ-მკუდარი ვეგდე იმის ფეხ-ქვეშ, სიხარულისაგან ვსტიროდი და ვეხვეოდი იმის მუხლე-

ბს. . .

და მოხუცმან მოიწმინდა მადლობისა ცრემლი.

— ახლა შენზე ვილაპარაკოთ, ჩემო საყვარელო. სად არი შენი თადდეო?

— გრაფინამ დააგდო ისი თავისთან და უბრძანა მოე-ცადნა. . .

— ამოლა გრაფინავ! . . .

ჟამსა ამას განისმა შრიალი ნავისა ნიჩაბთა. მიანამ გამოიხედა სარკმელში, გარნა ღამე იყო ესრედ ბნელ, რომე არა რაიმე შესაძლო იყო განცდად.

— ხო არავინ მოსულა, შვილო?

— მოვიდა ვიღაც ბერი კაცი, მამავ. მგონია ისიც ებ-რაელი უნდა იყოს. მოგახსენა რო კიდევ მალე მოვალო, იქნება ამაღამვე. თავისი სახელიც მითხრა, მაგრამ დამა-ვიწყდა. . . გუს. . . გრუსს. . . როგორღაც ასე. . .

— დავით გრუსს! — დაიყვირა ოტტალე. — განა აქ არი ისი! ვენეციაში! ჰო, ებრაელია ისიც. . . საოცარი კა-ცია! — დასძინა დაფიქრებულმან ოტტალე.

მოხუცმან იწყო საქმენი თჳსნი და შორის ამისა მიანა თვალ-მოუშორებლად უმზერდა კარსა. მოელოდეოდა

ისა კიდევ ვისამე, მაგრამ არა საქმროსა თჳსსა, არამედ საიდუმლოსა უცნობსა მას, რომელიცა დაიარებოდა მათ თან თითქმის ყოველს დამეს. მიანა ჰგრძნობდა თავსა შორის თჳსსა მისდამი სატრფოსა, გამოუთქმელსა მდირეკლებასა, რომელსაცა ვერ აღუხსნიდა ისა თავსა თჳსსა. უეცრად დაარაკუნეს კარი. მოხუცმან განაღო. შემოვიდა კაცი ჰაროკიანი, შავ-პირიშიანი და სარტყელსა ერტყა საწერელი. ტანისამოსისა მერე მისისა იჩვენებოდა, რომე იყო ისი წერილთა-მცველი ( არხივარიუსი ).

— უმორჩილესად გთხოვ, სინიორე, დამმანდეთ, — უთხრა მას ოტტალე. — შევიტყე, რო დღეს დილას აქ ბრო-მანებულხართ. დიდად ვსწუხვარ, რო შინ არ დაგხვდი.

— უეჭველად, საჯაროს საქმისათჳს დამიბარებდით თქჳენ მე, და ამისთჳს გავბედე ასე უდროოთ მოსვლა.

— დიდად გმადლობ. აი, რისთჳს გაგსარჯე. მე მაქ-ჳს საჩინო ქაღალდები რომლისამე გვამისა. მინდოდა მე მეთხოვნა თქჳენთჳს მიგეღოთ ისინი შესანახავად.

მე მოხუცებული ვარ და დიდი დღე არა მაქუს; ამასთანავე ჩუჱნში ჯარიანობაც იწყება. . . ვინ უწყის რა მოხდეს! . . . ყოველსავე შემთხვევაში, ის ქაღალდები თქუჱნს წერილთ-საცავში უფრო უშიშრად იქნებიან, ვიდრედა ჩუჱნს სახლში.

— კმაყოფილებით მივიბარებ მე იმათ.

— თქუჱნ ისეთი სახოგადო რწმუნება გაქუსთ, რო უეჭველად გარწმუნებ მე თქუჱნ ამ ამანათს,— და მისცა მას ოტტალე დაბეჭდილი პაკეტი.— საჭირო ქაღალდები ესენი: ამათზე არის დამოკიდებული სვე, და, იქნება, სიცოცხლეცა მრავალთა ჩინებულთა გვამთა.

— იჭვი ნუ გაქუსთ. ვის უნდა მივსცე მე თავის დროს ეს ქაღალდები?

— იმას, ვისაც სახელი აწერია პაკეტზე.

წერილთ-მცველმან დაუკრა თავი და გამოვიდა.

— ახლა გვიანდაა; იქნება არ მოვიდნენ დღეს ისინი?— სთქუა ოტტალე.

მხოლოდ რომ წარმოსთქუა მან ესე, უცებ წყლის პირის კართან, რომელიც მიანამ დააგდო ღია, გამოისმა ნელი შრიალი, და მასვე დროსა სადგომსა შემოვიდა ისი,

რომელსა მამაცა და შჳლიცა ესრედ მოუთმენელად მოე-ლოდებოდენ. უცნობსა ამას ესხა განიერი აბრეშუმის დო-მინო; შავნი თვალნი მისნი ელვარებდენ ქვეშეთგან მას-კისა; მისცა მან მიანას თაიგული, ამბორს უყო შუბლზე და მწუხარედ უთხრა:

— მიანა! ესე უკანასკნელი ყვავილებია, რომელთაც გი-ძღუნის შენ მეგობარი შენი. შენ გასდიხარ და მე ვრჩე-ბი ვენეციაში.— მასუკან მიუბრუნდა ისი მოხუცებულს ებ-რაელს, დაიხარა მისკენ თავი და სთქუა კმა-მდაბლად:— ოტტალე! მიანა და თადეო ხვალვე უნდა წავიდნენ ფე-რარას. ახლა აქაც უშიშრად არ არი ესა.

— მაშ თქუენი ნებაა რო წავიდე მე?— სთქუა მიანა ნაზით ყვედრებით.

— ოჰ, თუ იცოდე როგორ მემძიმება მე შენი წასვლა და როგორ მიჭირს! მაგრამ რა გამეწყობა. მშჳდობით, ჩემო საყვარელო! გადი შენს ოთახში; მე მოსალაპარა-კებელი მაქუს მამაშენთან.

— და ხვალ ხო მოხვალთ კიდევ? კიდევ ხო გნახავ მე? თქუენს გამოუსალმებლად არ წავალ.

— მოვალ, მოვალ, ჩემო სიცოცხლევ. . . მშჳდობით

ხვალამდინ, — სთქვა უცნობმან გულ-ამოჯდომით და ძლივდა შეიპყრობდა რა თავსა თჳსსა გოდებისაგან, განაცილა მიანა თჳსსა სადგომსა. მასუკან დახშვა მან კარი და უკუ-მოიქცა რა მოხუცის ებრაელისადმი, აღიხადა მასკა და სთქვა:

— აბა, რა ამბავებია, ოტტალე?

— ცუდი ამბავებია, თქუენო უგანათლებულესობავ. ებრაელებს სწადსთ აღადგელონ ხალხი, და ხომ იცით თქუენ, რომ სამი ათასი სულამდე არიან ისინი.

— და განა არ იციან იმათ, რომ დღეს ვსთხოვ მე და ხვალ შემიძლიან დავსაჯო.

— იციან; მაგრამ იციან მრავალი სხუაცა, რაც არ უნდა იცოდნენ იმათ თქუენის სარგებლობისათჳს. იციან იმათ, რომ ზეკკაში არდა არირა, რომ ის ფული, რომელიც ბანკმა დელ-ჯირო არწმუნა დოჟეს, დახარჯულია. არ მიგიძღოდათ თქუენ სამართალი იმის დახარჯვისა; ებრაელებმა იციან ესე. იციან ესეცა, რომ წმიდის მარკოსის სალაროსი ძვირფასნი ბეჭდები გარდადნობილ არიან ფულად, თჳთ იმათის მცველის ეკკლესიის პროკურატორის უცნობელად და ძვირფასნი თვლები შეცვლილ

არიან ყალბებით. . .

— მართალია; მაგრამ ეგ ფული სულ დახარჯულია ფლ-ოტის მოსამზადებლად, და თავის დროზე შევამსებ მე ყოველსავე ამას ჩემის ქონებიდამ.

— ეგეც იციან იმათ, მაგრამ არ იტყვიან. ხვალ კი უმდიდრესნი იმათგანნი, ისინი, რომელთაც მოისყიდეს თავიანთ თავისათვის აზნაურობა, გამოსცხადდებიან სენატში და ყველანი ერთობ მოითხოვენ იმ ფულს, რომელიც მართებს რესპუბლიკას იმათი. რა საკვირველია, უარს ეტყვიან იმათ, რადგანაც ვერათი გარდაიხდიან. მაშინ გამოაცხადებენ ისინი ყოველსავე, რაც იციან, და აღაღელებენ ერს. . .

— პატრიკიოსები დაიცვენ რესპუბლიკას და დოჟეს. .

— პატრიკიოსები ყველანი დაკავშირებულ არიან იმათთან, ყველანი ისინი იმათნი მოვალენი არიან; ამასთანავე ყველანი ისინი არა კმაყოფილი არიან ჯარიანობით.

— მაგრამ ერი, მხედრობა. . .

— მეხომალდეები ხმამაღლა დრიალებენ, რო არ წავლენ საომრად, მინამ არ მიიღებენ ჯამაგირს; თოფ-ხანაში ხვალ დილით დაიწყება არეულობა; ნოხალები და-

იხშვებიან თავიანთ პალატებში. . . იცით, თუ არა, რომ მრავალნი სენატორები იყვნენ კიდეც ტუნისის დესპანთან?

— ოჰ, რა ურცხვნი არიან! ასე როგორ იმდაბლებენ თავს ბარბაროსთან! — დაიყვირა დოჟემ გულის-წყრომით. — და ურიები! ოო, გაფრთხილდენ ისინი: გარდავსწვამ მრთელს უბანს.

— დაივიწყეთ, თქუენო უგანათლებულესობავ, რომ მეც ებრაელი ვარ. — გულ-მტკივნეულად სთქუა მოხუცმან.

— ოო! არა, ოტტალე, შენ იმათ არა ჰგევხარ. მე შენ მიყვარხარ და პატივს-გცემ; შენ ხარ მეგობარი ჩემი და მრჩეველი; მე გარწმუნებ შენ ის საუნჯე, რომლისა უმვირფასესი არა არის ჩემთჳს ქუეყანაზე. . . მაშ, ნახე თქუენ ყველანი თქუენი დიდრები? — ჰკითხა დოჟემ შემდგომად წამიერისა მდუმარებისა.

— დიაღ, ვნახე; მაგრამ არცა თუ ერთსა იმათგანსა აქუს ფული.

— ღმერთო ჩემო! და ხვალ ფლოტი აუშვებს აფრებს! მრთელი ქალაქი იქნება ნავთ-სადგურში, მრთელი ქალა-

ქა იქნება დამსწრე ჩემის და რესპუბლიკის სირცხვილისა! ოჰ! სანატრელად მაქჳს მე სვე ფოსკარისა, რომელმაც რა გაიგონა, თავის გარდაუენების მომასწავებელი, ზა-რების რეკა, მაშინვე მოკჳდა, ან დედა-კაცისაგან ქვით მოკლულის ტიეპოლოსი!

ახლად გაჰეცა რახუნი კარისა. დოჟემ მსწრაფლ და-იფარა პირის-სახე მასკით. ოტტალემ განაღო კარი, და-აცქერდა ახალსა ღამის სტუმარსა და შეჰყვირა:— დავით გრუსს!

ოთახსა შემოვიდა კაცი წლისა სამოცისა, ურიულად მოსილი, მოკუზვილი, ჭაღარა და გრძელ-წვერა; ჭრო-დანი, ჩაცვივნილნი, გარნა მახვილნი თვალნი მისცემდენ სახესა მისსა გამოხატულობასა ცბიერობისა და მზაკვრო-ბისასა.

— დავით ვრუსს!— განამეორა ოტტალემ, უმზერდა რა მას განცვიფრებით და რომლითამე შიშჭოებით.

— დიაღ, დიაღ, დავით გრუსს, ძველი მეგობარი შე-ნი. აქ მოველ მე შენთან და აი, ამ სინიორთან.— სთქჳ-რა ესე ანიშნა მას დოჟე.

— მე და შენ რა გვაქჳს ერთმანერთთან საერთო?— ჰკ

ითხა მას დოჟე, განიღიმებდა რა უკადრისად და იჭვნეულებით.

— დიაღ მრავალი, უფალო საიდუმლო სტუმარო. თქჳენ მოსულხართ ოტტალესთან ფულისათჳს, მართალია თუ არა? და დიდად საწუხარია რო ჴელ-ცარიელი წახვალთ.

— დიაღ, რა საკჳრველია, საწუხარია ჩემისთანა მოთამაშისათჳს, — სთქუა ალექსანდრო, სცდილობდა რა უქუნ-ელდრიკა იჭვნეულება სახეცარისა ამის კაცისა.

— კარგა ვიცი მე თქჳენი თამაშობა; მაგრამ ამას თავი დავანებოთ, სალაპარაკო არ არი. მე გიშოვნი თქჳენ ფულს, თუ შემომფიცავთ, რო არავის გაუმჟღავნოთ თქჳენ ჩემი საიდუმლო.

— ბატონო ზმანდერი, გეფიცები. უთუოდ საქმობ შენ ალქიმიით?

— ოო! არა; ალქიმიკოსნი არიან ბლუტები, ან შეშლილები. არ მერწმუნებით თქჳენ მე, მაგრამ მალე დაიჯერებთ, რო შემიძლიან მე ჩემის აღთქმის აღსრულება. ოტტალე, გახსომს თუ არა, შენი შემთხვევა პალერმოში?

— როგორ არ მახსოვს. ისე ავად ვიყავ, რო მკურნალთაც ხელი აიღეს ჩემზე. მაშინ ღმერთმა მომივლინა მე კაცი, უპედოვანესი ყოველთა მკურნალთა ქვეყანაზე. შენ დასჯეგ ჩემის საწოლის თავით, შინადამ კარში არ დაგასვლელ და მიწყე მე წამლობა. ჩემის ავად-მყოფობის საშინელს ჰჯეთებაში, მიყურებდი შენ მე როგორ დაც საოცარით თვალებით, ფერი მიგდიოდა, განიმჰვერდი ჩემზე ხელს და დავიძინებდი მე ძილითა მძიმეთი და საოცარითა. . . როდესაც მოეახლოვებოდი შენ, მაშინვე შემომსუბუქდებოდა მე სნეულება ჩემი, და როდესაც მიყურებდი. . . აი, სწორედ ასე, როგორც ახლა მიყურებ. . ვგრძნობდი მე, რო ჩემი ტუჩები ძილში იცმაცუნებოდენ, თითქოს ვლაპარაკობდი მე. . .

— საოცარი ძალია! — სთქვა დოჯე.

— შენ მიხსენ მე სიკვდილისაგან, — განაგრძობდა ოტტალე; — მაგრამ ის საოცარი ძალი კარგად-მყოფობაშიც თავს არ მანებებს. ეხლაც, ხან-და-ხან კიდევ დავიძინებ ხოლმე მე იმავე სახით; მხოლოდ ძიანამ იცის ეს.

— როგორ მაშოჯნინებს მე ფულებს, ეგ საოცარი ძალი? — ჰკითხა ალექსანდრო.

— ებრაული დაიხარა და წასჩურჩულა მას ყურში რავდენიმე სიტყვა, არა მოაშორენდარა, ამას შორის, თვალთა ოტტალეს. ოტტალე რეცა თუ დაემორჩილებოდა უძლეველსა მალსა, დაეშო საჯდომსა. დავით გრუსს მიეახლოვა მას და გარდაავლო მას ჴელი თავზე. . . ცხოველნი, მაგნიტის ნაბერწკალნი დამოსცვივდებოდენ დაპყრობილთა ოტტალეზე თვალთაგან მისთა, და თვალნი იგი ელვიდენ მსგავსად ალმასისა. ამა მიუწთომელმან მალმან შიშროვან ჰყო დოჟე; დაეყრდნო ისი ერთსა მათ სვეტთაგანსა, რომელნიცა დაიდგრენდენ ქამარათა ოტტალეს ვრცელისა სადგომისათა და არა ერწმუნებოდა თვალთა თჳსთა.

შემდგომად რავდენთამე წამთა, დავით გრუსს სთქუა:— მზად ხარ ოტტალე? . . .

— მზად ვარ. . . მიბძანე. . . — წარმოილუღლუღა მოხუცებულმან.

— ოტტალევ! შენ ხარ ზარათუ და მცველი რესპუბლიკის ხაზინისა?

— მე ვარ.

— ჩეკკაში ხო არ არის დამარხული ხაზინა რამე?

— არა.

— აქა?

— აქა?— განამეორა ოტტალე მთრთოლარით ჴმით. მრთელი სხეული მისი სძრწოდა და თვალი წარდვნილა სახესა მისსა. ეჩვენებოდა, რომე ამაოდ წინა-აღუდგებოდა ისი ძალსა, რომელიცა გარდასძლევდა ნებასა მისსა. და კუალად სთქუა მან,— შემიწყალე. . . ნუ მათქმევინებ. .

— ოტტალე, დამემორჩილე,— უთხრა მას დავით გრუსს, განამძლიერა რა ცეცხლი თვალთა თჳსთა.— მითხარ: ამ სახლში ხო არ არი დამარხული ხაზინა?

— არი. . . მაგრამ ის ხაზინა. . . სთქუა მოხუცებულმან და წარმოიწივა.

— ვიცი, რა ფულებიც არი. იჯეგ. სად არი ის ხაზინა?

— ოჰ, შემიწყალე!. . . არ შემიძლიან. . .

— სთქუი, სად არი ის ფულები?. .

— იქა, აი, იმ კედელთან. . მეოთხის ფილაქნის ქვეშ, სვეტს უკან. . მაგრამ. .

— ჩუმად! სუ, სუ!— სთქუა დავით გრუსს და დასძვა

ორივე ჴელი თჳსი ოტტალეს თავზე, და ძილმან მძიმემ, ვით ძალმან სასიკუდინემ, დაადუნა ყოველნი ასონი მოხუცისანი.

დავითმან გრუსს აღმოიღო ხანჯალი თჳსი; ალექსანდრომცა ეგრეთვე გამოიძრო ხანჯალი ქვეშედამ თჳსისა ბადუტა.

— მეოთხეს ფილაქნის ქვეშ, სვეტს უკან. . . კარგი. . . ვიწყოთ ახლა მუშაობა.

დოჯე თითქოს დამუნჯდა, თითქოს მოედო მას ცნობა: იქამომდე განაცჳფრებდა მას ყოველივე, რაჲცა იხილა მან და ესმა.

— რატომ არ აიხდით მასკას, სინიორე? — სთქუა დავით გრუსს. — მე ხო გიცნობ ვინც ბძანდები და რისაგანდა ირცხვნი აქა. ეს ფულები ამისნი ხო არ არიან; ესენი ეკუთვნიან რესპუბლიკას და თქუენცა მოიხმარებთ ამათ რესპუბლიკის საჭიროებაზე, მაგრამ უჩემოდ თქუენ ვერ ამოიღებდით და ამისთჳს უნდა გავიყოთ. ფულები გეჭირებათ თქუენ კეთილის საქმისათჳს, რათამცა მიანიჭოთ მომავკუდავს ვენეციას კიდევ რავდენიმე დღე დიდებისა; მე მეჭირება სათამაშოდ. ვსთამაშობ მე კაზინ-

ოში მასკის ქვეშ. მე ვარ პირი პატრიკიოსთა მრთელის საზოგადოებისა. ხო ხედავთ რო მეც ეგრეთვე მეჭირება ფულები, და ამისთჳს ამოვიღოთ ჩვენ მრთლად, რაც აქ ვიპოვოთ. მე ვერ გავბედავ თქვენის ღალატს და თქვენცა არ მიღალატებთ მე. თქვენ მომეცით მე სიტყვა, და სიტყვა ალექსანდრო დოჯესი წმიდაა.

დოჯემ აღიხადა მასკა.

— ახლა ჩამოიღეთ კანდელი და ვნახოთ საღ არი აქ დამარხული.

ადგილი, რომლისათჳს იტყოდა ოტტალე, დაფენილი იყო ნეჭით. დავითმან გრიუს და ალექსანდრომ აღხადეს ფილაქანი ხანჯლებით. ხანჯალი დოჯესი გარდაიმტვრა. ფილაქნის ქვეშ იყო ორი დიდროვანი რკინის სკივრი, დაჭედილნი ინკვიზიციის, პატრიარხის და დოჯეს ბეჭდებით. კლიტეები სრულად დაჟანგებულიყვნენ და თჳნიერ განსაღებთაცა. დავითმან გრიუსს აღმოიღო უბისაგან მინა მოწითანოთი წყლითურთ, დასხეს წამლითა მით კლიტეები, გამოიღო რავდენიმე ბურღი და შემდგომად, მოღებულითი მის მიერ ოტტალეს სამუშაკოს სახლისაგან, რკინის სატეხით აღხადა თავი ერთსა სკივრსა,

რომელი იყო უმცირეს მეორისა.

მას შინა იყო სიმრავლე დუკატებისა, * ესრედ ახლე-ბისა, თითქოს მხოლოდ მაშინ მოჭრილიყვნენ ისინი ზა-რაფხანაში. დოჯემ ყოვლით თჳსით ძალით და ღონით ვერ შეიძლო აღხდა მეორისა სკივრისა; დაკით გრუსს შეეწივა მას. ამა მეორეშიცა ჰპოვეს ფული უმეტეს პი-რველისა.

— დიდს ხომალდს დიდი ცურვაც უნდა, — სთქუა ებ-რაელმან. — თქუენ ჩემზე მომატებული გერგოთ; მაგ-რამ არა მშურს, — მე ესეც მეყოფა. ახლა ეს სკივრები უნდა წავაზრმანოთ აქედამ. აქა მაქუს მე ნავი. პირვე-ლად წაგიყვან მე თქუენ ჭუზინის კონცხზე, სადაც უნ-და განვლოს ხვალ ფლოტმა. შეგიძლიანთ თქუენ და უტეოთ თქუენი სკივრი სარწმუნოს კაცთან, სპერონე-ურისთან, რომელიც, როგორც სჩანს, ერთგულია თქ-უენი. მასუკან წაგიყვან მე თქუენ სადაც გნებავსთ, და გავიყრებით ჩუენ.

— ყოველივე ესე შენთჳს არი, ვენეცია! — წარმოსთ-

---

(*) დუკატი: ბაჯაღლო.

ქუჩა ალექსანდრო ოხვრით.

დავითმან გრუზს დასდვა ქუჩა და ნეკა თვისსავე ადგილსა და გარდმოსძახა სარკმელიდამ თვისსა მენავეთა. მათ გარდაუგდეს მას თოკი და მანცა ფრიად მარჯვედ ჩამოუშვა მით სკივრები ნავში. მასუკან ლოჯე და დავით გრუზს წარვიდნენ წყლის პირის კარისაკენ, და წამსა ამას შემოვარდა შავ-ბინიშიანი უმაწვილი კაცი, სადაცა იყო ძიანას ოთახი; მას მოსდევდა უკან პირ-ბადიანი დედა-კაცი. ლოჯემ და დავითმან გრუზს განაქრეს კანდელი და ძლივღა მოასწრეს შეფარება სვეტს უკან.

— თადდეო! რა ოთახია ესე?— ჰკითხა გრაფინამ.

— ოტტალეს სამწერლო გახლავსთ, თქუენო ბრწყინვალებავ.

— ძიანას სადგომი სადაა?

— იმისი სადგომის კარი ამავე დერეფანშია. ახლა ძიანას და იმის მამას უთუოდ ეძინებათ.

— მაშ ფანჯრის ქვეშ რო ნავია? აქ არი ისი.

— ძიანას კარებისაგან გამოღებულია გასაღები,— სთქუა თადდეო.

— თადდეო!— დაიყვირა გრაფინამ,— გამოამტვრივე

ეგ კარი. აქ დამალულია კაცი — შენის ცოლის საყვარელი.

თადდეომ გულის-წყრომასა შინა თჳსსა მოავლო კელი სკამსა და იწყო მით ცემა კარისა.

— ღმერთო ჩემო! ვინ არახუნებს?— დაიძახა მიაჩამ მთრთოლარით კმით.

ჟამსა ამას განისმა შთიალი ჩავის ნიჩაბთა: დავითმან გრუსს განაღო სარკმელი და გარდმოვარდა დოჯეთურთ ნავში.

— გაიქცა! გაიქცა!— განწირულებით დაიყვირა გრაფინამ.

-- გაიქცა!— განამეორა თადდეომ.

— ოო! მე ჩემს ჯავრს ამოვიყრი!— წაიბუტბუტა საფიამ. ამ დროს ფეხ-ქუეშ მოხუდა მას გატეხილი ხანჯალი და აღიღო ის.— წავიდეთ, თადდეო; სთენდება კიდეც. უეჭველად ვიშოვით ჩუენ გონდოლას.

და ორნივე სწრაფად გამოვიდენ.

დღესა მეორესა დასდგა დიდ-მშვენიერი დღე-სასწაულობა ფლოტის განსვლისათჳს, და დილით ად-

რევე გამოაცხადეს, რომე წინათვე დაურიგდების მეხ-ომალდეთა როჯიკი. გამოცხადებამ ამან შვა მრავალნი მიმოთქმანი.

— ნუ თუ დოჯე ურიგებს ჯამაგირს თავისის ჯიბიდ-ამ? — იტყოდა მოჩენიგო, რომელსაც დოჯე სდგა თჳ-სსა კატარღაზე, შემოზღუდვილი მრავალთა სხჳათა ნა-ვთა მიერ.

— ხედავ, როგორ თვალ-მოუშორებლად უყურებს იგი სპერონე ურიის სახლს? სჩანს იმას აღუთქუამს იმისთჳს ფული; მაგრამ კი მოატყუებს, — სთქუა ტრევიზანი.

— ერთი იქით მიიხედე რა უზარმაზარი რკინის სკივრი მიაქუსთ ბერძნებს ხომალდის ერდოსაკენ, პატრიარხი თავსა ხდის . . . შეხედე-ღ! სეკინებს * ურიგებს ისი! ხედავ, მეხომალდეები როგორ ეხვევიან ოქროს! . . .

ჟამსა ამას განსცხადდა გეროლდი ** და განეცენ კმ ანი ვეცხლის საყვართანი. დოჯემ მისცა მას ქადალდი

---

(*) სეკინი: ოქრო — ფული.

(**) საკელმწიფო გზირი, რომელიცა გამოუცხადებს ხალხს მტერთა თანა შერიგებასა ანუ ჯარიანობასა.

და მანცა წარიკითხა ბრძანება ესე:

,,ვენეციის ებრაელნი განიზრახვიდენ აღრეულებასა. უპირველესნი დამნაშავენი ცნობილ არიან ჩუენგან და დღესვე მიიღებენ ღირსსა ჯალდოსა. ვენეციის რესპუბლიკა დასჯის მათცა ეგრეთვე, როგორც მსწრაფლ ბარბაროსთაცა. მოწოდებულმან დოჯესაგან სასისხლომ კვარანტიამ განსაჯა განძევება ორიათასთა ებრაელთა. პატივი და დიდება წმიდის მარკოსის ფრთოვანსა ლომსა. ქლოტი აღხსნის წარსასვლელად დუზასა და ნაბრძანები მქუს მას მიღება დოუთალაფეთაცა.,,

მრავალთა მეხომალდეთა და ნავთ-სადგურის მუშაკთა მიიღეს მოწოდება ესე. ყოვლით კერძოთი განეცემოდენ კმანი სიხარულისანი და კელთა ტყუელნი, როდესაც ალექსანდრო შთამოვიდა დოჯეს გალერადამ * ორმეოც-ნიჩბოვანსა ნავსა სასახლედ წარმოსვლისათჳს. რა დაუთანასწორავდა დოუთალაფეთა ხომალდსა იხილა დოჯემ, რომე კაცი ვინმე ახალ-გასდა მოსჭიდებიყო თოკებს და ნავის-ყუალსა, იწვენებოდა, არა ენება მიღება მი

(*) გალერა: ზღვის ნავი.

სი, უეჭველად მისთჳს, რომ არა ემოსა მას არცა სამხე-დრო სამოსელი და არცა ჯუბა მეხომალდისა.

— ღმრთის გულისათჳს მომიღეთ, თუ არა, წყალში ჩა-ვარდები! — შეჰყვირა ახალ-გასდამ კაცმან.

მოსჭიდეს მას ხელი და ადვარდა ისი ხომალდის ერ-დოზე. ენება დოჯეს შეუენება მისი, მაგრამ ხომალდი შორს იყო უკუე და წარიყვანა მქანდაკებელი თადდეო.

შემდგომად დიდ-სასწაულობისა დოჯემ გარდაიხა-და დიდებული პურობა და სადამოსა მრავალი ერი შეგ-უნდებოდა გარეშე კაზინოსა, რომელი უნდა განათე-ბულიყო შუა-ღამესა. შენობა დიდ-მშვენიერად განათლ-ებული იყო; კარებთან სდგა ბოლუქი მხედართა. დიდ-მშ-ვენიერს, ვრცელს, ჩინებულად განათლებულს ზალაში, სდგნენ რავდენიმე სტოლები; სამგალობლოთა შინა იყო ხორო მესაკრავეთა; მათ ქვეშ მოაჯირიანი ლოჟა, უკანით რომლისაცა იყო საჯდომი ზარაფხანის მცველისა და მე-გორმესი. მეათორმეტეს საათის ნახევარზე ოტტავიო თჳ-სით ასულითურთ მოვიდა კაზინოს კარებთან შესასვლე-ლად თჳსსა ლოჟასა. ორნივე იყვნენ მოწყუნილნი: ოტ-ტავიოს აღარ ახსოვდა, რაიცა შეემთხვა მას ღამეს მას,

ჯავრნა ურვეულ ჰყოფდა მას ურიებზე გამოცემული ბრძა-ნება, თუმცადა დოჯე სწერდა მას, რომე სრულებით არა შეეხებოდა მას ესე და არცა თუ მოედების მას ადგი-ლი თჳსი; ამასთანავე ვერ მიხჳდებოდა ისი, საიდამ ეშ-ოვა დოჯეს ფულები დასარიგებლად მეხომალდეთათჳს. საწყალობელი მიანა ვერ იგულისხმებდა თუ რაჲ შეემთხვა საქმროსა მისსა, რასათჳს მოახდინა მან ესრეთი ადრეუ-ლება მათს სახლში, და რად დაუტევა მან ისა.

თითქმის მათს კჳალზე შემოვიდა გრიმანიცა. იყო ისი ბადრუკა და პარიკით, კელსა ეპყრა მასკა თჳსი და მი-სცემდა ბრძანებასა მოსამსახურეთა თჳსთა. რა იხილა მან მიანა, მივიდა მასთან და უთხრა:— გრაფინას ნებავს თქჳენ-თან მოლაპარაკება: წამობძანდით. ოტტალე, ხო იც-ით რო დოჯეც მობძანდება და დაესწრობა თამაშობაში. იმან მიბრძანა დავარწმუნო თქჳენ, რო მოწყალით თვ-ალით არი თქჳენზე ისი. ამასთანავე. . . მასესხეთ მე ორასი პისტოლი.

— სინიორე. . . სთქჳა ოტტალე ყოყმანებით.

— ნუ გეშინიანთ, არ დაგეწვისთ. . . ამაღამ მეც მო-ნაწილეობა მაქჳს სინიორ არნოლდფოს ბანკში, რომე-

ლიც მოვიდა ფლორენციდამ. საშინელი მდიდარია თურ-
მე. მიანას მე წავიყვან გრაფინასთან და ეხლავ მევე მო-
ვიყვან.

საათმან დაჰკრა თორმეტი; კაზინოს კარები განაღეს და გუნდმან ითქრიალა ზალასა. უმეტესი ნაწილი სტუმართა იყო მასკით და ყოველნი აძლევდენ პოლიციის მოხელეთ კარებთან კონტრ-მარკსა, * რომელთ ადრევე მიეღოთ. იქ იყვნენ მრავალნიცა ჯენტილდონნე, * * ეგრეთვე მასკებიანნი, მაგრამ ჴელ-მკლავ შიშველნი. მრავალთა ქალთა საყურეები ეპყრათ ჴელით, რადგანც იშიშვოდენ ავ-ხელთაგან. რომელსაც მოთამაშენი გარ-შემოუსხდენ სტოლებს, ლაქიებმა მოიტანეს რავდენიმე ფულით სავსე სკივრი სინიორ არნოლფოსი, რომლისათჳსცა დაკრძალულ იყო ადგილი ფაროს სათამაშოს სტოლთან. მსწრაფლ განსცხადდა თჳთ ისიცა დიდით თეთ-

( * ) კონტრ-მარკი: მეორე ბილეთი, რომელსაც აძლევს მეკარე.

( * * ) ჯენტილდონნე: მოლოზანნი სამთა ბენედიკტის მონასტერთანი ვენეციაში.

რით მასკით, რომელი დაჰფარვიდა ნიკაპსაცა მისსა და დიადურად დასჯდა სტოლთან გარე-შემოზღუდვილი თჳსით სკივრებით. მოთამაშენი მკვირცხლად გარ-შემოეკვლენ მას და პოლიციის მოხელემ დასძახა:— თამაშობა იწყების!

ამ დროს ორთავე კარების ფარდები ზალის თავსა და ბოლოს ზეადიწივნეს: ერთი მხრით შემოვიდა დოჯე თანა-ხლებული დარბაისელებით და მეორით გრაფინა ამო-ლა რავდენითამე ქალითურთ, რომელიცა მოჰყვანდა გრიმანის. საფია იყო ფერ-მიხდილი: ყოვლისა მეტ სჩნდა, რომე შეშფოთებულ იყო ისა უსიამოვნოჲთა შემთხვევითა რაჲთამე. გრაფინა დასჯდა უპირველეს სტოლთან. შორის ამისა მიანამ დასდვა მშვენიერი თავი თჳსა მხარსა ოტტალესასა და სტიროდა მწარედ.

— რას ამბობ!— დაუყვირა მას ოტტალემ.— იმან გამოგაგდო შენ! . . . იმან! . . . აძოლა გრაფინამ! ოჰ, ღმერთო! ნეტარ შემეძლოს ყოველივე გაუმჟდავნო მე იმას! და რა დანაშაული გაქჳს შენ იმასთან? რა აწყენინე?

— ასე მეჩვენება, რო განგებ შეიყვანეო შენ იჭვნეულ-

ეჳაში თიდდელ და გაასქციელ. . . რო თქჳმნი საიდუმ-ლო მრახავიო. . . მრცხვენიან ვსთქჳა. . . შენი საყვა-რელიათ. . .

და მიიღვარა მან კელენი პირის-სახეზე და სტიროდა ეს-რედ მწარედ, რომა ოტტალემ ადუთქჳა მას მოლაპარ-აკენა ამაზე ლოჯესთან.

ამას შორის მრავალნი მოვიდოდენ ოტტალეს დაზ-გის დასხურვილს მოაჯართან და ჰყვიროდენ:

— ეპრაელო, დამიხურდავე მე ეს ბილეთები!

— ეპრაელო, მიდე თამასუქი ასის დუკატისა!

— მე ვარ მარკიზ მალატესტა!

— და მე პროკურატორი სტენო!

ოტტალე განჰყოფდა კელს მოაჯარში და დაახურდა-ვებდა ბილეთებს, რომელთაცა მოსცემდენ მას მოთამა-შენი.

— მაანა, შვილო, — სთქჳა მოხუცებულმან, — ხო ხე-დავ რო მოცალეა არა მაქჳს; არა მგონია მოვასწრო მე დღეს ნახვა ლოჯესი; წადი ზალაში და შენ თითონ უა-მბე იმას; ამასთანავე მცირედ მაინც განერთობი აქით შენ.

მიანა განვიდა. თამაშობა იყო სრულიად აღგზნებული, გარნა წვეულობისა შემდ მისა, რომელი მარად დამარხებოდა ვენეციის რედუთში მოთამაშენი დაიცავდენ ღრმასა მდუმარებასა. მას სტოლზე, სადაც სჯდა არნოლფო, თამაშობა იყო საშინელ. ოქროსა და ვეცხლის მთენი აღიმართებოდენ მის წინ და ჩაიყდრიალებოდენ მისს ზანდუკეში. შორის ორთა ქაღალდის გაჭრათა დოჯებ განიხმო საშინელი მოთამაშე ისი და უთხრა:— სანიორე, აგრე თამაშობა, როგორც თქუენ სთამაშობთ, შეუძლიან მხოლოდ რომელსამე თეოდორო კორნერს. . . განმკვეთულსა ოდესმე ვენეციიდამ, ან ერთსა საიდუმლოის კაცსა, რომელსაცა ეწოდების, მგონია. . . დავით გრუსს. . .

— არც ერთი და არც მეორე არ გახლავს, თქუენო უგანათლებულესობავ,— უპასუხა მას მოთამაშემ, დაუკრა თავი და ახლად დასჯდა ფაროზე.

განვლო რამოდენმე ჟამმან და მოვიდენ დოჯესთან ორნი გვამნი: ერთი მათგანი იყო მასკიანი ბაროვანი, და მეორე ახალ-გაზრდა ქალწული ქალი, რომელი კრძალვით დაიფარვიდა სახესა მიუქართა ნაოჭებითა განიერ-

ის ზენდალეტტო. იყო ისა მიანა. მიანა შესდგა, იხი-ლა რა მასკიანი ბანოვანი.

— მხოლოდ ორი სიტყვა,— უთხრა დოჟეს ბანო-ვანმა.

,,გრაფინაა ესა!,,— იფიქრა დოჟემ, რომელსაცა თითქმის დაავიწყდა კიდეც ისა.

— ბმანეთ, მაგრამ ჩქარა: არა მცალიან,— სთქჳა დოჟე ჴმა-მაღლად.

განგრძელება შემდგომში.

# საფია.

რომანი ჟჳლისა როჟე დებოვუარ.

—

რუსულით გარდმოდებული ქართულად
სარდიონ ალექსიევ-მესხიევისაგან.